ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

საორტული გაზეთი | ხუთშაბათი 21 ივნისი 2001 №114 (1387) | ფასი 50 თეთრი


# ფეხბურთის ფედერაციას ნაკრების მწვრთნელთა რიგი დაუდგა



## ვისაც მწვრთნელობა უნდა, ფედერაციას არ უნდა, ვინც ფედერაციას უნდა...



### ვის მოანერინებს ხელს მერაბ ჟორდანია საქართველოს ნაკრების მწვრთნელობაზე?

ერთი კვირაა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი ეროვნული გუნდის მწვრთნელობიდან გაათავისუფლა და ფედერაციას საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის მოსურნე უცხოელთა რიგი დასდგომია.

როგორც კი გაუგიათ, საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩაო, უმუშევარი მწვრთნელები მაშინვე დაკავშირებიან ფედერაციას და საკუთარი კანდიდატურები შეუთავაზებიათ.

გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას თქმით, ფედერაციამ უკვე მიიღო ფაქსები ახალზელანდიელი, ავსტრალიელი, ინგლისელი და იტალიელი მწვრთნელებისგან, რომელთა ვინაობის გამხელისგან მან ჯერჯერობით თავი შეიკავა, თუმც კი გვითხრა, ეს მწვრთნელები საფეხბურთო სამყაროში ნაკლებად ან თითქმის უცნობნი არიან, მათი გვარები პირველად გავიგე და ამ კანდიდატურების სერიოზულად განხილვას არც ვაპირებთო.

სამაგიეროდ, ფედერაციის ხელმძღვანელთ ერთი უცხოელი, საკმაოდ ცნობილი და ავტორიტეტული მწვრთნელისთვის დაუდგამთ თვალი და სურთ, სწორედ ის მოიწვიონ ეროვნულ გუნდში.

— ვიცით, ეს კაცი ნაკრებს გამოადგება. საქმის მცოდნე, ძლიერი სპეციალისტია, მას თუ არა, მის აგენტს აუცილებლად დაველაპარაკებით და ნაკრების მწვრთნელობას შევთავაზებთ. საქმისთვის კი ჯობს, არც მისი ვინაობა გაგიმხილოთ — განგვიცხადა ვალერი ჩოლარიამ, თუმცა მერე ისიც დასძინა, სავსებით შესაძლოა, ნაკრები ჩავაბაროთ სხვა უცხოელს, რომლის ვინაობას პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია არგენტინიდან დაბრუნების შემდეგ ორ-სამ დღეში გამოაცხადებს.

არგენტინაში ჟორდანია და ჩოლარია 4 ივლისს მიემგზავრებიან და იქიდან ერთ კვირაში დაბრუნდებიან. ისინი ფიფას კონგრესს დაესწრებიან, უცხოელ კოლეგებს შეხვდებიან და, როგორც ამბობე, შესაძლოა იქვე გადაწყვიტონ, ვის ჩააბარონ ნაკრები.

და თუ ვერაფერი გადაწყვიტეს, ვალერი ჩოლარიას თქმით, მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარე შესარჩევ ციკლს საქართველოს ნაკრები აუცილებლად ალექსანდრე ჩივაძის ხელმძღვანელობით ჩაამთავრებს.

ერთი სიტყვით, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ძოძუაშვილ-ყიფიანის მემკვიდრე ან ჩივაძე, ანაც ნამდვილად უცხოელი იქნება.

თავად ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია კი ამჟამად შვეიცარიაშია, უეფას თათბირებს ესწრება და არ არის გამორიცხული, თავის უცხოელ კოლეგებთან მოლაპარაკება ნაკრების მწვრთნელის თაობაზე იქაც გამართოს.

ბოზა ინასარიძე

# ჯანაშიამ ლეკები დააწიოკა

## ზაზამ ლოკომოტივი გადაარჩინა. გადარჩენილმა თასი მოიგო

დრამატული გამოდგა რუსეთის თასის გუშინდელი ფინალი „ლოკომოტივი" — „ანჟი". ერთი შეხედვით დუნე თამაშის კვანძი ძირითადი დროის ბოლო წუთებზე კიდევ უფრო ჩაიხლართა და საქმე პენალტებზე მიდგა. მთავარი ჩამხლართავი კი, ანუ ბოლო წამის გმირი, ზაზა ჯანაშია გამოდგა.

89-ე წუთზე ანჟელი ნარვიკ სირხაევი მოსკოველთა მეკარე ნიგმატულინთან პირისპირ გავიდა და ანგარიში გახსნა. დაღესტანში ალბათ უკვე სახალხო ზეიმისათვის ემზადებოდნენ, საათი მსაჯის წამატებულ წუთებს ითვლიდა, როცა „ლოკომოტივის" მრავალსვლიანი კომბინაცია ჯანაშიას ეფექტური გოლითა და ჩვეული მალაყით დამთავრდა...

მერე იყო დამატებითი დრო, პენალტები და 5:4 „ლოკომოტივის" სასარგებლოდ.



REUTERS მოსკოვიდან

ზაზა ჯანაშია და დაღესტნელი ზანგი ბილონგო



შოთა არველაძემ ჰოლანდიის წლევანდელ ჩემპიონატში 18 გოლი მიითვალა

# შოთა არველაძე ჰოლანდიურ საკრებულოში მეორე კაცია

**ჰოლანდიელებმა** ახლახან დასრულებული ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები დაასახელეს. საუკეთესო თერთმეტეულში მოხვდა საქართველოს ნაკრებისა და „აიაქსის" თავდამსხმელი შოთა არველაძეც. თანაც ჯამური ქულებით მხოლოდ „ეინდჰოვენის" შემტევ არნოლდ ბრუგინკს ჩამორჩა.

საინტერესოა, რომ სიმბოლურ ნაკრებში მესამეადგილოსან „აიაქსიდან" ხუთი ფეხბურთელი — ტიმ დე კლერი, კრისტიან კივუ, ტომაშ გალაშეკი, რაფაელ ვან დერ ვაარტი და არველაძე — მოხვდა. მაშინ, როცა ჩემპიონ პსვ-დან ოთხი, მეორეადგილოსან „ფეიენოორდიდან" ერთი და ერთიც მეოთხე ადგილზე გასულ კერკრადეს „როდადან".

ორგანიზატორებს თითოეული ფეხბურთელი დაუხასიათებიათ, ჩვენთვის კი, ალბათ საინტერესო თავდამსხმელთა ამბავი იქნება.

შოთა არველაძე (ჯამში 1,304 ქულა): ქართველმა თავდამსხმელმა სეზონი არცთუ დამაჯერებლად დაიწყო, მაგრამ ნელ-ნელა მოუმატა და 18 გოლით ბომბარდირთა დავაში მეხუთე ადგილი დაიკავა. თბილისის „დინამოს" ყოფილმა .ფორვარდმა თავისი დარტყმების 24 პროცენტი გოლებით დაამთავრა.

მატეა კეჟმანი (პსვ, 1,056 ქულა): თავიდან ამანაც მძიმედ დაიწყო, მაგრამ „ჰერენვენთან" გატანილი ოთხი ბურთის შემდეგ გაიხსნა. ჭაბუკი კეჟმანი 24 გოლით ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე გახდა.

არნოლდ ბრუგინკი (პსვ, 1,432 ქულა): სიმბოლურ ნაკრებში საუკეთესო. მან 13 გოლი გაიტანა, მაგრამ საერთო სეზონური მაჩვენებლებით კონკურენტ თანაგუნდელებს: მატეა კეჟმანს, იონას კოლკას, დენის რომედალს და რუუდ ვან ნისტელროის, ასევე დანარჩენ ათეულსაც აჯობა.

**სოლომონ გულისაშვილი**



REUTERS

არგენტინა — ეგვიპტე. მასპინძელ ესტებან ერერას ბურთი დაუფარეს

## რუსეთი

თასის ფინალი

ანჟი 1:1დ.დ. (პენ. 3:4, 1:1) ლოკომოტივი

1:0 სირხაევი (89), 1:1 ჯანაშია (90)

## პოლონეთი

პლეი ოფი. I მატჩი

პოლკოვიცე 0:0 სტომილი

## ფინეთი

XIV ტური

მიუპა 3:2 ჰაკა

ჯაზი 0:1 ტამპერე

## შვედეთი

XI ტური

სუნდსვალი 1:2 აიკ

## ესპანეთი

თასის 1/2 ფინალი. I მატჩი

ატლეტიკო 0:2 სარაგოსა

## ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი

II ტური

A ჯგუფი

იამაიკა 0:1 ფინეთი

ეგვიპტე 1:7 არგენტინა

B ჯგუფი

კანადა 0:4 გერმანია

ერაყი 1:6 ბრაზილია

C ჯგუფი

უკრაინა 0:0 ჩინეთი

ჩილე 1:4 აშშ

# ცხელ ხაზზე დიღმის ბაზა

## ბრაზილიელი პრეზიდენტმაც გამოსცადა. ტყუპისცალმა და ქინქლაძემ დინამოელობა გაიხსენეს

**გუშინ** საღამოს დიღმის ბაზაზე სელექციური მუშაობის მორიგი ეტაპი განვლო თბილისის „დინამომ" — გასასინჯად მისული ფეხბურთელებით და რამდენიმე დინამოელით (იშვიათად რომ ხვდებოდნენ ძირითადში) დაკომპლექტებულმა შერეულმა შემადგენლობამ ორკარა გაახალა.

ბაზაზე ჩვეულებისამებრ ეროვნული ნაკრების რამდენიმე ლეგიონერიც მივიდა, აგრეთვე მწვრთნელები ჩვენი სხვადასხვა გუნდებიდან, არც „დინამოს" რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დაიზარა მოსლვა და თამაშის ცქერა.

სარემონტო სამუშაოები დიღმის ბაზაზე გრძელდება, თუმც არა ისეთი სწრაფი ტემპით, როგორც დაიწყო. სატრენაჟორო აგურის შენობა გარედანაც შეულესიათ და გაუვარდისფერებიათ, ინტერიერშიც ძირითადი სამუშაოები დამთავრებულია და კლუბი საცაა, ახალ ტრენაჟორებსაც შეიტანს იქ. მთავარ შენობასაც ეტყობა ნაჯაფარი, თუმც გასაკეთებელიც უხვად დარჩა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, შსს-ის დანაპირები, რომ ევროსტანდარტის ბაზას „დინამოს" აგვისტოსთვის ჩავაბარებთო, უნდა შესრულდეს. ახალდათესილ მინდორზე ადრეც გაუწყეთ, ახლა კი მის ერთ მხარეს ფიცრით აგებული სპეციალური დახრილი კედელიც აღმართეს, ფეხბურთელებმა დარტყმებში კარგად რომ ივარჯიშონ.

თვით თამაშს არა უშავდა. „დინამოს" გასასინჯ ახალწვეულებს თსუელი კახა ახალაძე, მერანელები მალხაზ ჭინჭარაული და ლევან ბაჯელიძეც შეემატნენ. იქვე იყო ბრაზილიელი ჰიდეო გარსია. უცხოელმა ბურთის ფლობის ტექნიკა და სწრაფი გადაწყვეტილების უნარი რამდენიმეჯერ გვიჩვენა, თუმც მოძრაობა-დინამიკაში, მათ შორის უბურთოდ, შედარებით მოიკოჭლებს. მონდომებული გახლდათ ბრაზილიელი, საგოლე კომბინაციებშიც მიიღო მონაწილეობა, პარტნიორებს კი მინდორზე უცნაური შორისდებულებით მიმართავდა.

მთავარი ამბები მეორე ტაიმში დატრიალდა. 15 წუთი იყო გასული, როცა იმ გუნდის შემადგენლობაში, რომელიც 2:3 აგებდა, ერთბაშად ოთხი შეცვლა მოხდა — მოედანზე გავიდნენ კლუბის პრეზიდენტი რევაზ არველაძე, მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა, არჩილ არველაძე და გიორგი ქინქლაძე. ბრძოლა! ბრძოლა! გაიძახოდა ლიბეროდ გამწესებული ტყებუჩავა, ძმები არველაძეები და ქინქლაძე კი თავიდან ერთობ დინჯად ჩაერივნენ თამაშში, მერე კი მოუმატეს და ბლღვირიც აღინეს მეტოქეს, გამარჯვებაც მათ გუნდს დარჩა — 7:4.

დამარცხებულები აღმოჩნდა **ჰიდეო გარსია**. არატიპური გარეგნობის ბრაზილიელს, აღმოსავლეთაზიური იერითა და ოდნავ ვიწრო თვალებით, ცოტა



ჰიდეო გარსია

ინგლისურიც სცოდნია და რამდენიმე შეკითხვაც დავუსვი.

**— საქართველოში ვინ მოგიწვიათ?**

— გიამ.

**— რომელმა გიამ?**

— გიამ, თქვენი ფედერაციიდან.

— გია ფირცხალავამ?

— დიახ, მგონი, მან.

**— რამდენი წლის ხართ?**

— ოცდასამის.

**— ბრაზილიაში რომელ გუნდებში თამაშობდით?**

— რამდენიმე გუნდი მოვიარე, მათ შორის „პალმეირასიც".

**— ბოლოს რომელ გუნდში იყავით?**

— „ტამანარეში"

**— „დინამოზე" რას იტყვით, ძნელია აქ თავის გამოჩენა?**

— „დინამო" კარგი გუნდია და მის რიგებში რამდენიმე ჩინებული ფეხბურთელი თამაშობს. იმედი მაქვს, საქმეს თავს გავართმევ და ამ გუნდში დავრჩები.

ორიოდ კითხვით „დინამოს" ახალ მთავარ მწვრთენლ **გივი ნოდიასაც** მივმართეთ.

**— ბრაზილიელზე რას გვეტყვით? აპირებთ მის დატოვებას?**

— მას კიდევ ორ თამაშში გამოვცდით და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მერე მივიღებთ.

**— დღევანდელ მატჩში მონაწილეობა არ მიუღიათ „დინამოს" ორ ახალწვეულს — ჯონი შალამბერიძესა და მიხეილ ბობოხიძეს. ამ ფეხბურთელებს გამოცდა არ ჭირდებათ?**

— შალამბერიძეს და ბობოხიძეს ისედაც კარგად ვიცნობთ. ეს ფეხბურთელები გვჭირდება და დავიტოვებთ. დანარჩენი ახალწვეულების შესაძლებლობებიც კარგად მოგვეხსენება, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობთ, ვნახოთ, მათ კიდევ დავაკვირდებით...

**დავით თავართქილაძე**



არჩილ არველაძე



„დინამოს" შტაბი: გოჩა ტყებუჩავა, გივი ნოდია, რევაზ არველაძე და ნიკა ჩხეიძე



დისციპლინარებმა სერგო კვარაცხელიას გამონთებული ვიტჯორჯიელები მსუბუქად დასაჯეს

# რუხაძე და დისციპლინარები: მკაცრი მამა და კეთილი ბიძიები

**გუშინ** სპორტისა და აკადემიის რექტორის კაბინეტში თითქმის ორ საათს მიმდინარეობდა სადისციპლინო კომიტეტის სხდომა და დებულების მორიგი დარღვევით დასრულდა. სადისციპლინო კომიტეტმა ავსტრიულ „რიდთან“ საპასუხო მატჩისთვის სამზადისში მყოფ „ვიტ ჯორჯიას“ ფსიქოლოგიურ განწყობაზე იზრუნა და გუნდი დაინდო.

დისციპლინარებმა დასრულებული მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში მომხდარ ინციდენტზე იმსჯელეს — „ვიტ ჯორჯიას“ უეფას საგზურის მოსაპოვებლად „დინამოსთან“ მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს. მატჩის 87-ე წუთზე ზუგდიდელმა არბიტრმა სერგო კვარაცხელიამ გინებისთვის ვიტელი გიორგი ყიფიანი გააძევა მოედნიდან. უგოლოდ დამთავრებული შეხვედრის ბოლოს კი მონასტერი აირია. კვარაცხელიას ვიტჯორჯიელი დავით დოლიძე და ლევან მელქაძე გამოეკიდნენ. არბიტრის საცემად გაიწია გუნდის [illegible] მწვრთნელმა ზურაბ ბერიძემაც. კვარაცხელია საკუთარმა ფეხებმა იხსნა განსაცდელისგან, ბოლოს (როგორც ყოველთვის) საქმეში პოლიციაც ჩაერია და კონფლიქტი ჩაცხრა.

სწორედ ეს ფაქტი განიხილა გუშინ სადისციპლინო კომიტეტმა და, ფაქტობრივად, მისი გასაკეთებელი „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ გააკეთა. რუხაძის სიტყვებში ეჭვი არავის შეპარვია, როცა მსგავსი საქციელის განმეორების შემთხვევაში გუნდის დაშლით დაიმუქრა.

„იმ დღეს საშინლად შეურაცხყოფილი ვიყავი. ახლაც კი მრცხვენია, მომხდარს რომ ვიხსენებ. ჩემთვის ფეხბურთი ადამიანობის გამოხატვის საშუალებაა და თითოეული ასეთი ექსცესი ყველაფერს ხაზს უსვამს. ბიჭები მკაცრად გავაფრთხილე — დოლიძე, მელქაძე და ბერიძე 300-300 ლარით დავაჯარიმე. 150-150 ლარი დავუქვითე ჭანკოტაძეს და ყიფიანს. ასეთი რამ, გარწმუნებთ, აღარ განმეორდება და აქ ამ ოთახში „ვიტ ჯორჯიას“ მსგავს საქციელს თქვენ არასოდეს განიხილავთ, რადგან ფეხის პატარა დაცდენის შემთხვევაშიც კი გუნდს დავშლი“ — განაცხადა გურამ რუხაძემ.

სადისციპლინო კომიტეტმა დოლიძის აღსარებაც მოისმინა, ემოციებს ავყევი, ბოლომდე ვერც ვაცნობიერებდი, რას ჩავდიოდი, დამნაშავე ვარ და მკაცრ სასჯელს ვიმსახურებო, აღიარა ფეხბურთელმა.

მერე კი სიტყვა სხდომის თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილმა წარმოთქვა: „ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც დებულებას გვერდი [illegible]ვაროთ, რადგან თქვენ უპრინციპულესი საერთაშორისო მატჩი გაქვთ წინ. ეს კი არა, იმისთვისაც მზად ვარ, თუ „რიდს“ ჩამოიშორებთ გზიდან, ეს სასჯელიც მოგიხსნათ“.

დისციპლინართა ვერდიქტი კი ასეთი გახლდათ. გიორგი ყიფიანი ერთ მატჩს გამოტოვებს, ამავე დროს, მასვე, მელქაძეს, ჭანკოტაძეს (გასახდელში აგინა მსაჯთა ბრიგადას) და დოლიძეს 4-4 მატჩიანი პირობითი დისკვალიფიკაცია შეუფარდეს. ოთხივე ფეხბურთელი 50-50 ლარითაც შეითხელებს ჯიბეს. დებულების შესაბამისად კლუბის მწვრთნელი ზურაბ ბერიძეც დაისაჯა. მას უკანასკნელი გაფრთხილება გამოუცხადეს გუშინდელ სხდომაზე, ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და 200 ლარითაც დააჯარიმეს.

23 მაისს, ფოთში „კოლხეთი“ — „მერანის“ მატჩის შემდეგ მასპინძელთა გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა გია ტყებუჩავამ გასახდელში მსაჯთა ბრიგადას აგინა. სადისციპლინო კომიტეტმა მასაც 4-მატჩიანი და 200-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა.

მეკარის პრობლემა აქვს გადასაჭრელი ქიზიყურ „მილანს“. 22 მაისს წყალტუბოში ამ გუნდის მეორე მეკარე ძამუნაშვილმა სათადარიგოთა სკამიდან მსაჯები გამოლანძღა, რისთვისაც გააძევეს. ნამატჩევს კი კოლეგას გუნდის ძირითადმა მეკარე სომხიშვილმაც მიჰბაძა და პოლიციელთა დასაშოშმინებელი გახდა. შედეგად ძამუნაშვილი ორ მატჩში ვერ შეეშველება „მილანს“ და 100 ლარს გადაიხდის. სომხიშვილი კი სამი მატჩით და 150 ლარით დაისაჯა. [illegible] „გორდა“ — „დილას“ მატჩში შეცვლილი გორელი [illegible] სავარელიძე არაეთიკური საქციელისთვის ერთი მატჩით და 50 ლარით დაჯარიმდა.

გუშინდელ სხდომაზე მკაცრად გააფრთხილეს „ლოკომოტივის“ სტადიონის ხელმძღვანელობა, მიზეზი ის გახლავთ, რომ 26 მაისს, სათასო ფინალში პენალტების სერიისას ვაი-ქომაგებმა შუშის ბოთლები ისროლეს მოედანზე.

**ბაათა ძგანტალიანი**

# მერანი უსინათლოა

**გუშინ** მეცამეტე ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო თბილისის „მერანმა“. ავჭალელები ძირითადად თბილისში ივარჯიშებენ. მოგვიანებით კი შეკრების მოწყობასაც გეგმავენ ქალაქგარეთ, თუმცა კლუბის პრეზიდენტის, დავით ფურცელაძის თქმით, ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ სად. მანვე გვითხრა, რომ „მერანი“ მომავალ სეზონში საშინაო თამაშებს „სინათლის“ ნაცვლად „შევარდენზე“ გამართავს. შეგახსენებთ, რომ „მერანს“ სტადიონთან დაკავშირებული პრობლემები გასულ ჩემპიონატამდეც ჰქონდა. სფფ-მ თბილისურ კლუბს „სინათლის“ კეთილმოწყობა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში იქ თამაშის აკრძალვითაც დაემუქრა. თუმცა საქმე აქამდე არ მისულა. წლეულს კი „მერანის“ ხელმძღვანელობამ სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება გადაწყვიტა, რაც მომავალი ჩემპიონატის დაწყებამდე არ ესწრება. ამიტომაც „მერანი“ გაისად მეტოქეებს „შევარდენზე“ დაუხვდება.

— შეთანხმება მიღწეულია, როგორც „შევარდენის“ სტადიონის ხელმძღვანელობასთან, ისე ფედერაციასთანაც — განაცხადა დავით ფურცელაძემ.

**ბაჩა შალამბერიძე**

ინტერტოტოს თასი 2001. პირველი შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი

**რიდი — ვიტ ჯორჯია**

გერზკინხენი. 24 ივნისი. 20 საათი

# ვიტ ჯორჯია დაცვაზე და ოსერზე ფიქრობს

**სამ** დღეში გაირკვევა, შეძლებს თუ არა „ვიტ ჯორჯია“ ავსტრიული „რიდის“ ბარიერის დაძლევას. ვეტერინარები გაცხოველებულ სამზადისში და იმედიანად არიან. ქართული ფეხბურთის შელახული რეპუტაციის აღსადგენად თავს დავდებთ, უბრძოლველად არაფერს დავთმობთ და ინტერტოტოს თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე გასვლას შევეცდებითო, გვითხრა კლუბის პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ.

„ვიტ ჯორჯია“ „რიდთან“ სათამაშოდ ხვალ, 18 საათზე გაემგზავრება თბილისი-ვენის ავია რეისით. გუნდი ქალაქ გერზკინხენიდან ოთხ კილომეტრში მდებარე დაბა გელზბახში დაბინავდება და ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „სილვერიოში“ იცხოვრებს. ჩვენები ზეგ გერზკინხენის სტადიონზე ივარჯიშებენ, სადაც მატჩი უნდა გაიმართოს, „რიდს“ კი კვირას, თბილისის დროით 20 საათზე დაუპირისპირდებიან.

გადაწყდა თბილისურ მატჩში გაძევებული ელიკ საჯაიას ბედიც. უეფამ ქართველ მცველს მხოლოდ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარა და წარმატების შემთხვევაში საჯაია „ვიტ ჯორჯიას“ „ტრუას“ წინააღმდეგ შეეშველება.

ავსტრიაში გამგზავრებამდე ტრავმა აწუხებს ვიტელთა კიდევ ერთ მცველს — ჯაბა მუჯირს. „რიდთან“ ამ ფეხბურთელის თამაში სათუოა, თუმცა ვეტერინარები იმედს არ კარგავენ.

აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ თუკი ღმერთმა გადმოგვხედა და ჩვენებურებმა ორი მატჩის ჯამში „რიდს“ სძლიეს, ფრანგულ „ტრუას“ ოსერში ეთამაშებიან. საქმე ის გახლავთ, რომ უეფამ „ტრუას“ სტადიონი დაიწუნა და მატჩიც ოსერის 18-ათასიან „ლობზე“ გაიმართება. ჩვენ კი „ვიტ ჯორჯიას“ იქ მოხვედრა ვისურვოთ.

**ბაათა ძგანტალიანი**



ჯაბა მუჯირის ავსტრიაში თამაში სათუოა


**საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციასთან არსებული უმაღლესი სასწავლებელი**

# მცირე აკადემია

**და მისი ლიცეუმი (მე-7-დან მე-12 კლასამდე)**

**უცხო ენებისა და კომპიუტერის გაძლიერებული სწავლება. კომპიუტერის სწავლების კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტები მიიღებენ კომპიუტერული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს.**

სწავლება მიმდინარეობს ქართული, რუსული და ინგლისური სექტორების დასწრებული და [illegible] სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, თურქული და არაბული ენები.
2. იურიდიული ფაკულტეტი (სამართალმცოდნეობა, საბაჟო სამართალი).
3. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ფინანსები და საბანკო საქმე, ფინანსები და საგადასახადო საქმე, აუდიტი და კონტროლი, წარმოების მენეჯერი, მარკეტინგის მენეჯერი.
4. ფერწერა, ტანსაცმლის მოდელირება, ხელოვნებათმცოდნეობა, სახვითი ხელოვნება, თეატრი, კინო და მუსიკათმცოდნეობა.
5. პერიოდული პრესა, ტელერადიო ჟურნალისტიკა.
6. პედაგოგიური ფაკულტეტი (სკოლამდელი აღზრდა, დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა).

გასაუბრებაში დადებითად შეფასებულნი ჩაირიცხებიან ფასიან სექტორზე, ხოლო უმაღლესი შეფასების მქონე აბიტურიენტებს უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ საკონკურსო გამოცდებში უფასო სწავლების განყოფილებაზე.
გათვალისწინებულია ფინანსური შეღავათები პირველკურსელთათვის და სტიპენდიები ფრიადოსნებისათვის.
მცირე აკადემიაში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ: 1. ატესტატი; 2. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 3. ოთხი ფოტოსურათი 3X4; 4. პასპორტი ან პირადობის მოწმობა.

**სწავლების პერიოდში სტუდენტები თავისუფლდებიან სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან.**

**მცირე აკადემიის მისამართია:**
**ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 17ა (შესასვლელი თაღიდან).**
**ტელეფონები: 22-02-01; 22-05-07.**

# იმერლების გურულობა რომ არა...

## ს.კ. გურია

1990-91 წლებში თამაშობდა ეროვნული ჩემპიონატის A ჯგუფში
2000-01 წლებში ეწოდებოდა „გურია ლოკომოტივი 2"
1990, 1991 წლის მეორე პრიზიორი
უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 306 მატჩი. 121 მოგება, 39 ფრე, 146 წაგება. ბურთების სხვაობა 473-584
1990 წლის ეროვნული თასის მფლობელი. ჩაატარა 43 მატჩი. 19 მოგება, 6 ფრე, 18 წაგება. ბურთების სხვაობა 83-68
რეკორდული მოგება: 8:1 23.08.90 – შევარდენი
რეკორდული წაგება: 0:7 22.05.95 – მარგვეთი; 15.08.96 – ბათუმი; 30.05.97 – კოლხეთი.
ყველაზე მეტი მატჩი A ჯგუფში: ალექსანდრე განევი – 135
ყველაზე მეტი გოლი A ჯგუფში: ოთარ კორღალიძე – 81
კლუბის მიერ ჩემპიონატებში გატანილი მე-100 გოლის ავტორი: ოთარ კორღალიძე (14.06.91); მე-200 გოლის ავტორი: ბესიკ ფრიდონაშვილი (20.06.92); მე-300 გოლის ავტორი: ალექსანდრე რეხვიაშვილი (07.06.94); მე-400 გოლის ავტორი ლევან თოლორდავა (16.04.97)
კლუბის სტადიონი: ევგრაფი შევარდნაძე (ტევადობა 22 000). გაიხსნა 1954 წელს, რეკონსტრუქციის შემდეგ – 1987 წელს

*გახსოვთ მეათე ეროვნული? ქვეყნის ჩემპიონატის ორგზის ვერცხლისმედალოსან და თასის მფლობელ გუნდისთვის იგი საიუბილეოსთან ერთად სამგლოვიაროც გამოდგა — „გურია" უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა. კაცმა რომ თქვას, ეს ამბავი ბევრსაც არ გაკვირვებია. მოხდა ის, რაც წლების მანძილზე მწიფდებოდა — ლანჩხუთში ფეხბურთს გამკითხავი შემოელია და ერთ დროს ამაყი და თავმომწონე გუნდიც დაჩაჩანაკდა.*

*აქ ბევრს აღარ გავაგრძელებთ და ვიტყვით, ორწლიანი შესვენების შემდეგ „გურიას" კვლავაც უმაღლესში ვიხილავთ. ეს უფლება გუნდმა პირველი ლიგის გათამაშებაში გამარჯვებით მოიპოვა. ისე, უცნაურად კი დაიწყო ყველაფერი. მეთერთმეტე ეროვნულში გურულები რეგიონულ ლიგაში თამაშობდნენ და არც იქ გამოუჩენიათ თავი, არადა საახალსეზონოდ პირველ ლიგაში მოგვევლინენ. ამ ამბავმა რეგიონული ლიგის ზონალური ტურნირების ორი გამარჯვებული შეიწირა. ერთი — დედაქალაქური „ლოკომოტივი 2", რომელმაც დიდსულოვნად დაუთმო თავისი ადგილი „გურიას" და მეორე — ზესტაფონის „მარგვეთი", რომელიც თავის პრეზიდენტიან-მწვრთნელებიან-მოთამაშეებიანად ლანჩხუთში გადაბარგდა და იქაური ფეხბურთის სამსახურში ჩადგა.*

*თვითლიკვიდირებული „მარგვეთის" პრეზიდენტი ვასილ ხაჭაპურიძე „გურიას" პრეზიდენტი გახდა. „მარგვეთისვე" მთავარ მწვრთნელს ზაზა გურიელიძეს უკვე გაერთიანებული გუნდის თავკაცობა დაეკისრა. სხვათა შორის, „მარგვეთში", „ტორპედოში" და „გორდაში" ნათამაშევი, სამწვრთნელო მუშაობის ოდენ წლის სტაჟს ითვლიდა, მაგრამ ნდობა შემთხვევითი არ ყოფილა. მისი ხელმძღვანელობით „მარგვეთმა" რეგიონული ლიგის ზონალური ტურნირი დაუმარცხებლად ჩაამთავრა.*

*37 წლის ზაზა გურიელიძე დღეს პირველად სტუმრობს „სარბიელს" მწვრთნელის რანგში.*

**— განვლილ სეზონზე სალაპარაკო, ალბათ, ბევრი გექნებათ. მოდით, ყურადღება მთავარზე გავამახვილოთ...**

— წინასასეზონო მოსამზადებელი პერიოდი გუნდმა ასე თუ ისე ნორმალურად გაიარა, თუმც ჩემპიონატში თავიდან ცოტა გაგვიჭირდა. ხუთი შეხვედრიდან ორში დავმარცხდით.

**— თანაც „ცხინვალთან" 0:7.**

— მართალია, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ შეგვიქმნია. მაინც ახალი, შეუთამაშებელი გუნდი გვყავდა, ბევრ ფეხბურთელს შესაგუებლად დრო დასჭირდა და ყველაფერი ამის გამო იყო. თანდათან ავეწყვეთ და საშემოდგომო ეტაპის დარჩენილი მატჩები გაცილებით უკეთესად ჩავატარეთ, მხოლოდ ერთხელ, წნორში წავაგეთ. არდადეგებზე ლიგაში დაწინაურებულები წავედით.

მოგეხსენებათ, გადამწყვეტი ბრძოლები გაზაფხულზე გველოდა. საშუასეზონო პერიოდში სერიოზული მზადება იყო საჭირო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩვენ ეს პერიოდი, ფაქტობრივად, გაგვიცდა უსახსრობის გამო. მარტო ვასილ ხაჭაპურიძე ყველაფერს ვერ გაწვდა. გაჭირვებიდან ჩვენმა კეთილმოსურნეებმა გამოგვიყვანეს და 28 თებერვალს გუნდი, როგორც იქნა, შეიკრიბა. სამ დღეში ჩემპიონატიც განახლდა. ამ დროისთვის რამდენიმე მოთამაშე გამოგვაკლდა. ჯულელმა „გორდას" მიაშურა, მერკვილიშვილმა, ლონლაძემ და გეწაძემ ზესტაფონის „მეტალურგში" არჩიეს თამაში. მაგრამ გუნდის ძირითადი ბირთვი შენარჩუნდა და არჩეული გზიდან არ გადაგვიხვევია.

**— გვსმენია, „გურიამ" უმაღლეს ლიგაზე ხელი ჩაიქნიაო...**

— არ ვიცი, ვინ ავრცელებდა ამ ჭორს. მსგავსი არაფერი ყოფილა.

**— ეს ხმა „სამგურალთან" საშინაო მატჩში თქვენი მარცხის შემდეგ გავრცელდა.**

— „სამგურალთან" პრინციპული თამაში გვქონდა. ძალიან [illegible] ტოქის დამარცხება, ლამის მთელი სათამაშო დრო სტუმართა ნახევარზე გავატარეთ, მაგრამ გატანა ვერ შევძელით. დავისაჯეთ კიდეც ამის გამო. წყალტუბოელებმა კონტრშეტევებზე დაგვიჭირეს. ჰაერივით საჭირო 3 ქულა დავკარგეთ და სატურნირო მდგომარეობა გავირთულეთ, თუმც მომდევნო შეხვედრებში გუნდმა შეძლო ძალების მობილიზება და საბოლოო ჯამში სასურველ შედეგსაც მიაღწია.

**— „გურიას" ბედი ბოლოსწინა ტურამდე ბეწვზე ეკიდა. წნორში გამარჯვებას თქვენგან ცოტა ვინმე თუ ელოდა?**

— გეხსომებათ, რა სიტუაცია იყო იმ დროისთვის. საშინაო თამაშებში ქულადაუკარგავი „მილანი" გამარჯვების შემთხვევაში უმაღლესი ლიგის საგზურს ინაღდებდა. ჩვენ კი წაგების უფლება არ გვქონდა, რადგან ამით, შესაძლოა, გადათამაშებაში მონაწილეობის შანსიც კი დაგვეკარგა. ჩვენთვის მთავარი იყო, ფსიქოლოგიური ბარიერი დაგვეძლია, მეტოქის და წინასწარ მოზეიმე მის მრავალრიცხოვან ქომაგთ არ შევშინებოდით. სიმართლე გითხრათ, თავიდანვე შევატყვე მასპინძელი გუნდის მოთამაშეებიც არანაკლებად ღელავდნენ. ისეთი თამაში გაჩაღდა, რომ მეტოქის შეცდომაზე გამოჭერა შეიძლებოდა. ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ვაჟკაცურად იბრძოლეს, დავალება შეასრულეს. მართალია, ჩვენ დაცვით ტაქტიკას მივმართეთ, მაგრამ ყოველ შანსს ვიყენებდით საკონტრიერიშოდ და ერთ-ერთ მომენტში გაგვიმართლა კიდეც. მატჩის დამთავრებას ბევრი აღარ აკლდა, როდესაც თენგიზ პატარაიამ რთული მდგომარეობიდან გრძელი პასი გაუგზავნა გრიგოლ კირკიტაძეს და ისიც უნაკლოდ გაისარჯა, ასე საჭირო გოლით გაგვახარა. ამ უაღრესად დაძაბულმა თამაშმა უექსცესებოდ [illegible] [illegible] გაითვალისწინეს თავი საქმეს და „მილანის" ქომაგნიც ღირსეულად მოიქცნენ — ტაშით გაგვაცილეს მოედნიდან.

**— სეზონის განმავლობაში „გურიას" შემადგენლობაში 30-ზე მეტმა ფეხბურთელმა ითამაშა. [illegible] ბევრი, [illegible] ცოტა. გუნდის ცალკეულ რგოლებს ხომ არ დაგვიხასიათებდით?**

— მე ყოველთვის წინა პლანზე ვაყენებ მეკარის როლს. ტყუილად როდი ამბობენ, კარგი მეკარე ნახევარი გუნდიაო. გუბაზ ღოლიძემ პირნათლად მოიხადა მოვალეობა, საიმედოდ იდგა. გათამაშების დასკვნით ეტაპზე იგი გამორჩეული ფიგურა იყო გუნდში. სხვა მატჩებზე რომ აღარ ვთქვა, „მილანთან" ორივე შეხვედრაში წარმატება სწორედ მისმა თავგანწირულმა თამაშმა განაპირობა.

მთლიანობაში სტაბილურად გაისარჯა ჩვენი დაცვა, სადაც ნაცადი თამაზ გაბრიჭიძის, მალხაზ ვოსკანოვის, ალექსანდრე განევის, ზვიად ქიქავას გვერდით კარგად გამოიყურებოდა ახალგაზრდა სერგო ორბელაძე. საპრეტენზიო არც შუა და წინა ხაზის მოთამაშეებთან მაქვს. გუნდის წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს თენგიზ პატარაიამ, გოჩა სულაკაძემ, მამუკა ჯღარკავამ, დავით ჩხეტიამ, უბერებელმა ზვიად ენდელაძემ. ყველას გვარს აღარ ჩამოვთვლი და მთელი გუნდის მადლიერი ვარ იმისთვის, რაც გაკეთდა.

რაღა თქმა უნდა, მადლიერი ვარ იმ ხალხის, ვინც თავიდან ბოლომდე გვერდში მედგა და მუშაობაში მეხმარებოდა. მხედველობაში მყავს გუნდის ექიმი გულსუნდა დუნდუა, მწვრთნელები დავით ბებიაშვილი, რამაზ ფირცხალაიშვილი, მალხაზ დუნდუა და საერთოდ, ყველა ჩვენი თანამოაზრე.

**— „გურია", „მეტალურგი", „სამგურალი" — რამდენად კანონზომიერად მიგაჩნიათ ამ სამეულის უმაღლეს ლიგაში აღზევება?**

— ვფიქრობ, სამივეს დამსახურებულად ერგო ეს პატივი, ხოლო „მილანმა" რომ კარგი შანსი გაუშვა ხელიდან, მისივე ბრალია. და მაინც, დასახელებულთაგან მე „სამგურალს" გამოვარჩევდი. შეკრული, კარგად გაწვრთნილი გუნდია. წყალ[illegible]ელებმა „[illegible]სთან" გადასახვლელ მატჩშიც დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე.

**— „გურია" უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა. რა მიზნით?**

— ყველაფერი კლუბის ფინანსურ შესაძლებლობებზე იქნება დამოკიდებული. მთავარია, ახატანი პირობები იყოს და მაჩანჩალობას ვერაფრით შევეგუებით. ჯერ ერთი ეს ჩემი, როგორც მწვრთნელის ღირსების ამბავია და უფრო მთავარი, დიდი ტრადიციების გუნდმა დაშვებული შეცდომები აღარ უნდა გაიმეოროს. თუ ხელშეწყობა იქნება, „გურია" აუცილებლად გაახსენებს თავს ფეხბურთის ქომაგს, საკადრის ავტორიტეტს მოიხვეჭს, თანაც უახლოეს დროში.

**— გუნდის გაძლიერებაზე ფიქრობთ?**

— რა თქმა უნდა. 5-6 ფეხბურთელი მაინც უნდა დავიმატოთ, რათა ყველა რგოლი სრულფასოვნად დავაკომპლექტოთ. რამდენიმე მოთამაშე შეგულებული გვყავს და, თუ ხელი არ შეგვეშალა, ამათ „გურიაში" იხილავთ.

**— ვის გულისხმობთ?**

— არ მინდა მოვლენებს დავასწრო. ჯერ მხოლოდ ერთზე გეტყვით. „ცხინვალიდან" გამოცდილი როინ მარლიშვილის მოწვევა გვსურს.

**— კლუბს ისევ ვასილ ხაჭაპურიძე უპრეზიდენტებს?**

— ეს საკითხი ჯერაც გადასაწყვეტია, ვნახოთ, სიახლე კლუბში კი ის არის, რომ მის აღმასრულებელ [illegible] მორჩილაძე დაინიშნა.

**— ამბობენ, „გურიას" შეძლებული სპონსორი ეყოლებაო?**

— ჯერჯერობით კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით.

**— რაიონის ხელმძღვანელობაზეც ბევრია დამოკიდებული...**

— ეს თავისთავად. ეჭვგარეშეა, მათი თანადგომით და [illegible] „გურიას" ძველებურად არ უნდა გაუჭირდეს. ლანჩხუთის რაიონის გამგებელი თენგიზ ქერქაძე, მისი მოადგილეები ალბერტ ლომაძე და გიორგი ნაჭყეპია დაინტერესებული არიან გუნდის ბედ-იღბლით, ეს კი ცოტას არ ნიშნავს.

**— იმასაც ამბობენ, რკინიგზის დეპარტამენტი და, [illegible], მისი თავმჯდომარე დაეხმარება „გურიასო"?**

— ბატონი აკაკი ჩხაიძე ადრეც დაგვხმარებია და უკეთესი რა იქნება!

**— გრიგოლეთში გუნდის საწვრთნელი ბაზის კეთილმოწყობა დაუწყიათ?**

— სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და გვპირდებიან, საქმეს მალე მოვრჩებითო.

**— მეცამეტე ეროვნულისთვის სამზადისს როდის შეუდგება გუნდი?**

— 22 ივნისს შევიკრიბებით. მანამდე მოსამზადებელ გეგმაზე ვიფიქრებთ.

**იუზა კაციტაძე**



ზაზა გურიელიძე (მარცხნივ) სულ ახლახან მოთამაშე იყო



1990 წელი. საქართველოს თასის პირველი მფლობელი ლანჩხუთის „გურია"

Coca-Cola

# FIFA WORLD RANKING

ფიფა ყოველთვიურად აქვეყნებს ეროვნული გუნდების რეიტინგს, სადაც თვალნათლივაა ასახული მსოფლიოს ფეხბურთში მიმდინარე ცვლილებათა დინამიკა. 2001 წლის ივნისის რეიტინგში აღსანიშნავია ის, რომ ცხრილის სათავეში ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით მეცხრეადგილოსანი გერმანიისა და ჰოლანდიის ადგილმონაცვლეობას. ხუთი საფეხურით წინ წაიწია ირლანდიამ, ათი საფეხურით — ტრინიდადმა და ტობაგომ, თერთმეტით — იაპონიამ...

საქართველოს ნაკრებს 78-ე ადგილი ერგო, რაც წინა თვესთან შედარებით 6 პუნქტით უარესი მაჩვენებელია. ჩვენ ნაკრებს ისეთი გუნდები უსწრებენ, როგორებიც არიან: ესტონეთი, ზიმბაბვე, ზამბია, ტაილანდი, ანგოლა და თვით ბურკინა ფასოც კი...

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | საფრანგეთი | 818 |
| 2 | (2) | ბრაზილია | 796 |
| 3 | (3) | არგენტინა | 771 |
| 4 | (4) | იტალია | 747 |
| 5 | (5) | პორტუგალია | 734 |
| 6 | (6) | ესპანეთი | 733 |
| 7 | (7) | ჩეხეთი | 726 |
| 8 | (9) | გერმანია | 720 |
| 9 | (8) | ჰოლანდია | 718 |
| 10 | (10) | პარაგვაი | 714 |
| 11 | (11) | იუგოსლავია | 702 |
| 12 | (12) | რუმინეთი | 696 |
| 13 | (14) | ინგლისი | 693 |
| 14 | (19) | ხორვატია | 672 |
| 15 | (13) | მექსიკა | 670 |
| 16 | (20) | დანია | 665 |
| 16 | (15) | აშშ | 665 |
| 18 | (16) | კოლუმბია | 660 |
| 18 | (17) | ნორვეგია | 660 |
| 20 | (18) | რუსეთი | 659 |
| 43 | (40) | უკრაინა | 583 |
| 53 | (53) | უნგრეთი | 561 |
| 64 | (60) | უზბეკეთი | 525 |
| 77 | (65) | ესტონეთი | 499 |
| 78 | (72) | საქართველო | 498 |
| 84 | (88) | ბელარუსი | 480 |
| 96 | (95) | სომხეთი | 450 |
| 97 | (92) | ლიტვა | 446 |
| 101 | (96) | ლატვია | 430 |
| 102 | (102) | მოლდოვა | 424 |
| 104 | (106) | ყაზახეთი | 421 |
| 116 | (114) | თურქმენეთი | 375 |
| 121 | (117) | აზერბაიჯანი | 356 |
| 141 | (139) | ტაჯიკეთი | 273 |
| 165 | (164) | ყირგიზეთი | 195 |

*I გრაფაში — ადგილი, II — ადგილი წინა თვეში, III — ქვეყანა, IV — ქულა*

# დიდიე დიდობისთვის ემზადება

**დიდიე დეშამპმა** აქტიურ ფეხბურთს თავი კი დაანება, მაგრამ უსაქმოდ არ ჩერდება. „ვალენსიასგან" განსხვავებით, რომლის მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერიც „სამფეროვანთა" ყოფილ კაპიტანს იშვიათად ათამაშებდა, ფრანგული „მონაკოს" ხელმძღვანელობამ დეშამპს სრული ნდობა გამოუცხადა. მას ჩააბარეს გუნდი, რომელმაც გასული სეზონი ყველა თვალსაზრისით ჩააგდო, როგორც ჩემპიონთა ლიგაში, ისე საფრანგეთის ჩემპიონატში.

ფრანგი გუნდის შემადგენლობაში ძირეული ცვლილებების განხორციელებას აპირებს. იგი მინდორზეც სერიოზული იყო და სამწვრთნელო საქმესაც ასევე მიუდგა.

ცნობილია, რომ „იუვენტუსის" კაპიტანმა ანტონიო კონტემ უკვე გამოთქვა „მონაკოში" გადასვლის სურვილი. „ეს ჩემთვის კარგი შანსი იქნება. მზად ვარ, შევუერთდე დეშამპს, ვიცი, რომ იგი დიდი გუნდის შექმნას აპირებს. გარდა იმისა, რომ დიდიე შესანიშნავი მეგობარია, მას მწვრთნელისთვის აუცილებელი ყველა კარგი თვისებაც გააჩნია" — არ დაიშურა ქების სიტყვები კონტემ, რომელიც არცთუ ისე ხშირად ხვდება ტურინული კლუბის ძირითად შემადგენლობაში.

„იუვენტუსის" აწ უკვე ყოფილი მწვრთნელის, კარლო ანჩელოტის თანაშემწემ, ნარციზო პეცოტიმ მარჩელო ლიპის დაბრუნების ამბავი რომ შეიტყო, მასთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა და დეშამპთან წავიდა. ფრანგმა „მონაკოში" გადასვლა „ჩელსისა" და „იუვენტუსის" ყოფილ მწვრთნელს ფიზმომზადებაში, ანტონიო პინტუსსაც შესთავაზა. როგორც ხედავთ, დეშამპს „იუვეს" მთელი სამწვრთნელო შტაბის გადაბირება განუზრახავს.



დიდიე დეშამპი

ამასთან დაკავშირებით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა კაპიტანმა განაცხადა: „ტურინში გატარებულმა წლებმა ჩემზე ძალიან დიდი გავლენა იქონია. მე ფრანგი ვარ, მაგრამ ბევრ უცხოურ გუნდში მითამაშია. ამ დროის განმავლობაში პეცოტისა და პინტუსთან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. ისინი ტურინში გავიცანი და ვთვლი, რომ მათი, როგორც ნამდვილი პროფესიონალების დახმარება, ჩემთვის აუცილებელია. ჩვენთან ჟან-ლუკ ეტორიც იმუშავებს, რომელიც მეკარეებს მოამზადებს".

„მონაკოს" ინტერესების სფეროში აღმოჩნდა „პიაჩენცას" იტალიელი მეკარე ფლავიო რომა. მის მიმართ ყურადღებას „ფიორენტინაც" იჩენს, რომელსაც იგი ტოლდოს შემცვლელად ესახება (როგორც ჩანს, ფლორენციელები ტოლდოს შენარჩუნებას ვერ შეძლებენ). თუ რომა „მონაკოში" გადასვლას გადაწყვეტს, ფლორენციელებს მეკარის ძებნა სხვაგან მოუწევთ.

გარდა ამისა, დეშამპს მაღალი კლასის მცველები სჭირდება. „მონაკომ" ფილიპ კრისტენვალი ბარსელონაში გაუშვა, ხოლო მარტინ ჯეტუ შესაძლოა, ლონდონურ „ჩელსიში" გადაბარგდეს.

ამჟამად წყდება „მონაკოში" რაიოვალეკანოელი სერხიო ბალესტეროსის გადასვლის საკითხი, თუმცა ამ უკანასკნელს ესპანეთის დატოვების პერსპექტივა გულზე სულაც არ ეხატება: „მე უცხოეთში თამაშის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ სამშობლოში ყოფნა მირჩევნია, ჯერჯერობით რაიმე კონკრეტული წინადადება არა მაქვს. ის კი ვიცი, რომ ჩემით რამდენიმე ცნობილი კლუბია დაინტერესებული, რაც ერთგვარად მსიამოვნებს კიდეც. ჯერ 25 წლის ვარ და „რაიოსთან" ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. თუ გუნდმა ჩემი გასხვისება გადაწყვიტა, რაღა მეთქმის, წავალ" — მშვიდად განაცხადა სერხიო ბალესტეროსმა.

დიდიე დეშამპს სეზონის დაწყებამდე დრო ჯერ კიდევ აქვს და რაც მთავარია, მეგობრები გვერდით უდგანან. ისიც უნდა ვთქვათ, რომ დიდი ფეხბურთელები ყოველთვის ვერ აღწევენ მწვერვალებს სამწვრთნელო კარიერაში. გახდება თუ არა დიდიე დიდი მწვრთნელი, მომავალ გაზაფხულზე ვნახავთ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჟარდელმა უკანა ბილეთი აიღო

**სტამბოლის** „გალათასარაის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მეჰმეთ ჯანსუნმა „პორტუსთან" მოლაპარაკება დაასრულა. გადაწყდა, რომ მარიო ჟარდელი ძველ გუნდში დაბრუნდება, ხოლო მის სანაცვლოდ თურქული კლუბი სამ ფეხბურთელსა და 6 მილიონ დოლარს მიიღებს. როგორც ჩანს, ჟარდელს ჰაჯის წასვლის შემდეგ გუნდში დარჩენის სურვილი გაუქრა.

იმ სამი ფეხბურთელიდან ერთი „რომასა" და „პერუჯაში" ხელმოცარული, 29 წლის საკმაოდ ტექნიკური რუსი ნახევარმცველი, დმიტრი ალენიჩევი გახლავთ. მეორე ალენიჩევის თანატოლი, პორტუგალიის ნაკრების წევრი კაპუშუა, რომელმაც ამ სეზონში „პორტუს" შემადგენლობაში მხოლოდ 10 შეხვედრა ჩაატარა. მესამე კი „სპორტინგსა" და „ასტონ ვილაში" ნათამაშევი მცველი, 30 წლის ნელსონია, ვისაც ცხრაჯერ მოურგია პორტუგალიის ეროვნული გუნდის მაისურა. სამივე ფეხბურთელი მომავალი სეზონიდან „გალათასარაის" წითელ-ყვითელ ფორმაში გამოეწყობა. დანარჩენი წვრილმანი საკითხები, მათ კონტრაქტებთან დაკავშირებით, უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**ვაჟა ხუციშვილი**



მარიო ჟარდელი

REUTERS კოლექციიდან



ალექსანდრ შოვკოვსკი, ვლადისლავ ვაშჩუკი და იური დმიტრულინი უკრაინის ჩემპიონობას ზეიმობენ

# ეს ერთი და ჯამშიც მეცხრე...

## დინამო კვლავაც ჩემპიონია!

### უკრაინა

XXVI ტური

**დინამო 2:1 დნიპრო**

0:1 სპივაკი (49), 1:1 ნესმაჩნი (82), 2:1 მელაშჩენკო (83)

**მ. დონეცკი 1:3 შახტარი**

0:1 ვორობეი (3), 0:2 ატელკინი (13), 0:3 ვორობეი (23), 1:3 მინტენკო (43)

**ნივა 0:2 ტავრია**

0:1 ხომენკო (61), 0:2 ტრაპაიძე (84)

**ცსკა 1:1 სტალი**

1:0 ზაკარლიუკა (52პ), 1:1 ბოგკო (90პ)

**ვორსკლა 0:1 მეტალისტი**

0:1 გოლდინი (59)

**კარპატი 2:1 კრივბასი**

1:0 შვედი (18), 1:1 მაკოვეი (42), 2:1 ტოლოჩკო (70)

**მ. ზაპოროჟიე 1:0 მ. მარიუპოლი**

1:0 ა. აკოფიანი (30)

**ხუთი** წელი ცდილობდნენ დონეცკის „შახტარის" ფეხბურთელები უკრაინაში კიევის „დინამოს" ბატონობის დამხობას, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს. წლევანდელ სეზონში ბევრი სკეპტიკურად უყურებდა ვალერი ლობანოვსკის ბიჭებს, ვიქტორ პროკოპენკო და „შახტარი" ახლა მაინც ელირსებიან უკრაინის ჩემპიონობასო, მაგრამ...

თუმცა, თავიდან ყველაფერი სწორედ აქეთკენ მიდიოდა. კიეველთათვის პირველმა განგაშის ზარმა მაშინ ჩამოჰკრა, როცა მათ ჩემპიონატის მესამე ტურში ცსკა-სთან 0:2 წააგეს. მეორედ მარცხის სიმწარე უკრაინული ფეხბურთის ფლაგმანმა შინ, კიევის „ოლიმპიურზე", 70 000 მაყურებლის თვალწინ იგემა. შერცხვნენ და თანაც ვისთან, საჩემპიონო დავაში კონკურენტ „შახტართან" — 1:2...

...ბოლო ტურის წინ აწ უკვე ცხრაგზის ჩემპიონი ერთი ქულით უსწრებდა პროკოპენკოსა და კომპანიას. „დინამო" ბრინჯაოს პრიზიორ „დნიპროს" მასპინძლობდა, „შახტარი" კი თანაქალაქელ „მეტალურგს" ფორმალურად გასვლაზე ეთამაშებოდა.

და „შახტარი" ჩემპიონატის გასრულებამდე 8 წუთით ადრე უკრაინის ჩემპიონიც გახლდათ, რადგან „დინამო" 0:1 აგებდა, დონეცკელები კი მეტოქეს 3:1 უგებდნენ. 19 000 კიეველ მაყურებელსაც არ სჯეროდა საყვარელი გუნდის გამარჯვებისა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვალერი ლობანოვსკი და ანატოლი პუზაჩი ავადმყოფობის გამო შეხვედრას არ ესწრებოდნენ, მეორეც, „დინამოს" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა.

ცხადია, კიეველებმა იცოდნენ, რაც ხდებოდა დონეცკში და მიუხედავად 0:1-სა, კერკეტ კაკლად მიჩნეულ „დნიპროსთან" საგოლე მომენტებიც უხვად შექმნეს. მარტო ბელარუსმა ვალენტინ ბელკევიჩმა და რუმინელმა ფლორიან ჩერნატმა სამ-ოთხჯერ ლამის კარის ძელები მოტეხეს. ამასობაში 82-ე წუთიც მოახლოვდა, თუმცა დონეცკელთათვის საბედისწერო ნამდვილად არა, რადგან კიევური ფრის შემთხვევაში „შახტარი" მაინც ხდებოდა ჩემპიონი.

კიეველთა მცველმა ანდრეი ნესმაჩნიმ საოცრად მახვილი კუთხიდან მეკარე ნიკოლაი მედინს ისეთი დაურტყა, თვითონაც გაკვირვებული დარჩა — 1:1. დნეპროპეტროვსკელებმა ცენტრიდან განაახლეს თამაში, მასპინძლებმა უმალ აართვეს მეტოქეს ბურთი და ფლანგური გარღვევის შემდეგ ალექსანდრ მელაშჩენკომ თავურით საჩემპიონო გოლი შეაგდო. ეს მოხდა სულ რაღაც 50 წამში...

„შახტარისთვის" ეს გოლი უკვე კატასტროფა იყო.

...ბოლო ტურში ქართველიც გამოირჩა, გოჩა ტრაპაიძის 84-ე წუთზე გატანილმა მეორე გოლმა „ტავრიას" უკვე გავარდნილ ტერნოპოლის „ნივასთან" გამარჯვება გაუმყარა. ჩემპიონატის ბომბარდირი კი 21 ბურთით „შახტარის" ანდრეი ვორობეი გახდა.

ამრიგად, უკრაინიდან ჩემპიონთა ლიგაში „დინამო" და „შახტარი" ითამაშებენ, უეფას თასზე კი ქვეყნის თასის მფლობელი ცსკა და „დნიპრო" მოსინჯავენ ძალებს.

**გიორგი მუზაძიძე**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 26 | 20 | 4 | 2 | 58:17 | 64 |
| შახტარი | 26 | 19 | 6 | 1 | 71:21 | 63 |
| დნიპრო | 26 | 17 | 4 | 5 | 37:18 | 55 |
| მ. დონეცკი | 26 | 11 | 9 | 6 | 30:24 | 42 |
| მ. მარიუპოლი | 26 | [illegible] | 4 | 10 | 35:27 | 40 |
| ცსკა | 26 | [illegible] | [illegible] | 6 | 30:23 | 40 |
| მ. ზაპოროჟიე | 26 | 9 | 8 | 9 | 27:30 | 35 |
| ტავრია | 26 | 8 | 9 | 9 | 24:31 | 33 |
| მეტალისტი | 26 | 8 | 7 | 11 | 27:37 | 31 |
| კარპატი | 26 | 9 | 3 | 14 | 33:42 | 30 |
| კრივბასი | 26 | 6 | 7 | 13 | 23:37 | 25 |
| ვორსკლა | 26 | 5 | 6 | 15 | 17:30 | 21 |
| *სტალი* | *26* | *3* | *6* | *17* | *19:49* | *15* |
| *ნივა* | *26* | *2* | *3* | *21* | *20:65* | *9* |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანდრეი ვორობეი (შახტარი) | 21 |
| ივან გეცკო (მეტალისტი) | 14 |
| ალექსანდრ რიკუნი (მ. მარიუპოლი) | 11 |
| სერგეი ატელკინი (შახტარი) | 11 |

### ჰოლანდია

პლეი ოფი

A ჯგუფი. VI ტური

ვოლენდამი (II) — ტელსტარი (II) 2:1; სიტარდი — ზვოლე (II) 1:2

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტარდი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| ზვოლე | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 9 |
| ვოლენდამი | 6 | 3 | 0 | 3 | 6:8 | 9 |
| ტელსტარი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:10 | 5 |

„სიტარდი" 2001-2002 წლების სეზონში ითამაშებს ჰოლანდიის I დივიზიონში

24 საათის ინფორმაცია განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001
(160 / 50 თეთრი)



მარჩელო ლიპი



კარლო ანჩელოტი

# როცა 144=0

**მართალია,** წინა სეზონთან შედარებით ორი ქულით მეტი მოიპოვა, მაგრამ „იუვენტუსი“ მაინც ვერ გახდა იტალიის ჩემპიონი. შედეგად, მწვრთნელი იცვლება — კარლო ანჩელოტი მიდის და მის ადგილს გამოცდილი, „ბებერი ქალბატონის“ ბოლო დიდების დროინდელი შეფი მარჩელო ლიპი იკავებს.

ამბობენ, რომ ანჩელოტის კლუბის დირექტორებმა თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზი არ აუხსნეს, მხოლოდ ეს უთხრეს: ქომაგთა უმეტესობას და ტურინელ ჟურნალისტებს არ უყვარხარო. მიუხედავად ამ ერთი შეხედვით, უცნაური განმარტებისა, ანჩელოტიმ სიმშვიდის შენარჩუნება მოახერხა. მან თქვა:

„დიახ, მშვიდად ვარ, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება — იმის გაგება, რატომ გამათავისუფლეს თანამდებობიდან, ძალიან ძნელია. აქ, ტურინში, ორი სეზონი კარგად ვიმუშავე და ქომაგთა უმეტესობა სულაც არ იზიარებს იმას, რაც ჩემზე ითქვა. მეორე მხრივ კი, ცხადია, იყვნენ გულშემატკივრები, რომელთაც პირველივე დღიდან არ ვუყვარდი. საბოლოოდ, ორ ჩემპიონატში ჩემი ხელმძღვანელობით, „იუვენტუსმა“ 144 ქულა დაგროვა, ამაზე მეტი კი, მერწმუნეთ, შეუძლებელია.

ერთი სიტყვით, „იუვეს“ მწვრთნელი აღარ ვარ იმიტომ, რომ ამ ორ სეზონში გუნდმა ერთი ჯილდოც ვერ მოიგო, ამისთვის კი კლუბის ხელმძღვანელებს საყვედურს ვერ ვეტყვი. ბოლოს და ბოლოს მე მხოლოდ მოჯამაგირე გახლდით, ხოლო პატრონებს სრული უფლება აქვთ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეცვალონ ერთი ადამიანი მეორეთი.

თავს დაჩაგრულად და მსხვერპლად არ ვგრძნობ. ცხადია, ბედნიერი ვერ ვიქნები, თუმცა არც ვწუხვარ, რადგან ასეთი მოვლენები კაცს მხოლოდ აძლიერებს. ახლა, მივიხედ-მოვიხედავ და სადმე ახალ სამუშაოზე მოვეწყობი.

ჩემი, აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელების მისამართით აუგი ვერ დამცდება. მათ მთელი სეზონი ჩინებულად ითამაშეს, განსაკუთრებით „რომასთან“ შინ ნათამაშევი ფრის შემდგომ პერიოდს გამოვარჩევ. ერთი შეხედვით, განწირულები ვიყავით, თუმცა მოთამაშეებმა მაქსიმუმი გააკეთეს და ყველა დარჩენილი შეხვედრა მოვიგეთ. სამწუხაროა, რომ ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. რა გაეწყობა, ჩვენ უდიდესი მეტოქე, „რომა“ გვერგო, რომელმაც სეზონის დასაწყისში ქულების დაკარგვა არ გვაპატია.

მეორე წრეში, თუ ყურადღება მიაქციეთ, 40 ქულა მოვიპოვეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემს შემცვლელს აქ რაიმე რევოლუცია არ დასჭირდება“.

კარლო ანჩელოტის მხარდასაჭერად ხმა აიმაღლა „იუვენტუსის“ ნახევარმცველმა ალესიო ტაკინარდიმაც, რომელმაც, როგორც ამბობენ, ყველა ფეხბურთელის აზრი გამოხატა:

„ანჩელოტის შეცვლა ლიპისთვის დიდი გამოცდა იქნება. მწვრთნელმა გასულ სეზონში მართლაც საუცხოოდ იმუშავა და ეჭვი არ არის კიდევ უკეთ შეძლებდა. მაგრამ „იუვენტუსში“ მხოლოდ ტიტული ფასობს, ხოლო 73 ქულა, თუ ის ჩემპიონობას ვერ მოგიტანს, არაფერს ნიშნავს.

ანჩელოტის წასვლამ ძალიან დამწყვიტა გული. „რომას“ მთელი წელიწადი ვებრძოდით, ახლა კი კომპლიმენტის დროა, ოღონდ, სიმართლე რომ გითხრათ, ერთადერთი, რითაც მან გვაჯობა, სეზონის განმავლობაში უკეთესი რეკლამა გახლდათ. მთელი ჩემპიონატის მანძილზე, რაც არ უნდა გაგვეკეთებინა, კაპელოს გუნდისა უფრო ჩანდა“.

ბოლოს კი ისევ ანჩელოტის დავუბრუნდეთ.

„კლუბთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა, საქმე ის გახლავთ, რომ „იუვენტუსში“ ყველაფერი ისეა ორგანიზებული, რომ კაცს მუშაობა ძალიან უადვილდება. ვფიქრობ, რომ ეცლიათ, გუნდში უმნიშვნელო ცვლილებით დიდ მიზანს მივაღწევდით“ — დაავგვირგვინა გადამღგარმა.

**ბაჩუნა ბედია**

# სეირი ახლა ნახეთ!



ლილიან ტურამი

**„იუვენტუსმა“** ლილიან ტურამი შეიძინა — ასეთია ცხელი ზაფხულის პირველი ყურადსაღები ცნობა და აი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ახალი კლუბის საინტერნეტო ვებსაიტს პირველი, სამ კითხვა-პასუხიანი ინტერვიუ მისცა.

— რატომ აირჩიეთ „იუვენტუსი“?

— არჩევანის გაკეთება ძალიან იოლი იყო. გავიკითხ-გამოვიკითხე, სხვათა შორის, რჩევისთვის საკუთარ თანაგუნდელებსაც მივმართე და დავასკვენი, რომ წინადადების უარყოფა არ შეიძლებოდა. „იუვენტუსი“ საუკეთესო კლუბია.

— ფრანგი ფეხბურთელები, როგორც წესი, ტურინისკენ მიილტვიან. აი, ახლაც, თქვენ ზინედინ ზიდანისა და დავიდ ტრეზეგეს მხარდამხარ მოგიწევთ თამაში...

— ზიდანი ყველამ იცის. ის დიდი ვარსკვლავია. ნამდვილად იღბლიანი კაცი ვყოფილვარ, ეროვნულ გუნდში მის მხარდამხარ რომ მომიხდა თამაში. სხვათა შორის, მის გვერდით, ჯერ კიდევ 21-წლამდელთა ნაკრებში გამოვდიოდი, ახლა კი ხომ ხედავთ, კლუბშიც ერთად მოგვიწევს ყოფნა. მინდა გითხრათ, რომ ზინედინი მხოლოდ დიდი ჩემპიონი კი არ არის, ის დიდებული ადამიანიცაა.

რაც შეეხება ტრეზეგეს, მასზე გეტყვით, რომ ის ჩინებული ბომბარდირია. მერწმუნეთ, იტალიელებს მისი სიმძლავრე ჯერ კიდევ არ უნახავთ. თუ დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ დავიდი ძალიან ცოტა შეცდომას უშვებს. ეს შთაბეჭდილება ტრეზეგეს „მონაკოში“ მოსვლის პირველსავე დღეს შემექმნა. მომდევნო სეზონში ერთად ბევრ სეირს შემოგთავაზებთ.

— ხომ იცით, თქვენ იტალიის პირველობის ყველაზე გაუვალ დაცვას შეუერთდებით.

— იმედი ვიქონიოთ, რომ ასეც გაგრძელდება, ხალხი კი იტყვის, ძლიერი დაცვა იმიტომ გვყავს, რომ ტურამი შეგვემატაო. ხუმრობა იქით იყოს და ძალიან მოხარული ვარ „იუვენტუსში“ მოხვედრით. მე უძლიერეს გუნდში თამაში მეწადა. ბოლო ხუთ წელიწადში ყველა ღონე ვიხმარე, „პარმას“ უძლიერესად ქცევაში წვლილი რომ შემეტანა, მაგრამ, საუბედუროდ, დიდ კლუბებად სულ ერთი და იგივენი რჩებიან. და „იუვენტუსშიც“ იმიტომ მოვდივარ, რომ ვიცი, ეს გუნდი გამარჯვებათა წყურვილს დამიკმაყოფილებს.

**ბაჩუნა ბედია**

# რომა და მეექვსე ბრაზილიელი



ფრანჩესკო ლიმა

**გაჩემპიონებიდან** მესამე დღეს „რომამ“ ახალი სეზონისთვის ფეხბურთელი შეიძინა.

ბრაზილიელი ფრანჩესკო ლიმა, რომელიც აქამდე „ბოლონიაში“ თამაშობდა, ამიერიდან კარიერას რომში გააგრძელებს.

სკუდეტოს მფლობელმა 30 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 5,8 მილიონი დოლარი გადაიხადა და მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ლიმას გადაყვანით ფაბიო კაპელომ „რომაში“ მეექვსე ბრაზილიელი შეიმატა — შეგახსენებთ, რომ წლეულს დედაქალაქურ კლუბთან ერთად იტალიის ჩემპიონები გახდნენ ალდაირი, ემერსონი, კაფუ, მარკუს ასუნსაო და ძაგო.

ლიმას ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში ბრაზილიურ, თურქულ და შვეიცარიულ კლუბებში უთამაშია. სერია A-ში იგი 1999 წელს გადავიდა და თავიდან „ლეჩეში“ ჩაირიცხა, თუმცა ერთი წლის შემდეგ უკვე „ბოლონიაშ“ იყიდა.

ლიმაზე უკეთესი წარმოდგენა რომ შეგვექმნას, მის ბოლონიელ თანაგუნდელ ტომას ლოკატელის მოვუსმინოთ: „ამიერიდან ლიმას წინააღმდეგ მომიწევს თამაში, ეს კი ძალიან რთული იქნება. იგი მოედნის ყოველ კუნჭულში ბურთის მოსაგებადაა დაგეშილი და ძნელია, გაუმკლავდე“.

**ნიკა შუბლაძე**

# გაიხადე, ტოტი, გაიხადე!



ფრანჩესკო ტოტი

**რომი ზეიმობს.** ქალაქის ქუჩებში გამოფენილან ქალები, ბავშვები, მოხუცები, პოლიტიკოსები, მუშები და ალალი სიხარულით ულოცავენ ერთმანეთს გამარჯვებას — „რომას“ სკუდეტოს. თქვენ წარმოიდგინეთ, თვრამეტი წლის განმავლობაში პირველობას მონატრებულმა „რომას“ ცისფერმა ტიფოზებმაც შეუერთეს ომახიანი ხმა სექსუალური უმრავლესობის ყურისწამღებ გუგუნს.

ბურთთან დაკავშირებული ემოცია თითქოს ყველას და ყველაფერს აწონასწორებს, ფეხბურთელი ყველასთვის თამაშობს გაურჩევლად ფერისა, რელიგიისა, პროფესიისა თუ სექსუალური მიდრეკილებებისა. თავისი ოსტატობით ყველანაირი გემოვნების გულშემატკივარს ხიბლავს. თუმც არის ხალხი, ვინც ფეხბურთში სხვაგვარ სილამაზესაც პოულობს.

ამგვარ განსხვავებულებს თავში განსხვავებული აზრებიც მოსდით: მოდით, „რომას“ გამარჯვება დიდი ბანკეტით აღვნიშნოთ, დავლიოთ, ერთმანეთს ჩავეხუტოთ და შემდეგ ფრანჩესკო ტოტის შიშველი სხეულით დავტკბეთო. ალბათ, მიხვდით, ვისაც ეკუთვნის ეს აზრი. ფემინისტი ქალები? არა, ვერ გამოიცანით — იტალიელი ჰომოსექსუალისტები.

გახსოვთ ალბათ, სეზონის ბოლო მატჩის შემდეგ ტრიბუნებიდან გადამხტარი მაყურებლები, რომლებსაც დიდმა სიხარულმა და ალბათ, არა სექსუალურმა ორიენტაციამ, თავგზა აუბნიათ, კაპიტან ტოტის ეცნენ და ლამის მთლად ტიტლიკანა დატოვეს. ქომაგთა ერთმა ნაწილმა პირი დააღო და აპოლონის დარ ფიგურას მიაშტერდა.

ტოტის ოდნავადაც არ დაურცხვენია. და ვითომ რატომ არ უნდა დაატკბოს სტრიპტიზით ჰომოსექსუალისტების ბანკეტზე თავისი საფეხბურთო თუ კიდევ ეშმაკმა უწყის, რა მონაცემების მოტრფიალე გულშემატკივარი? ამგვარი აზრები უტრიალებთ იტალიელ მხიარულ ბიჭებს, მაგრამ გაიხდის თუ არა მათი გულის ვარდი, ეს უკვე ფრანჩესკოს პირადი საქმეა.

**გიორგი მამარდაშვილი**

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ოკეანეთი

**პლეი ოფი**

**ფინალი. I მატჩი**

**ახალი ზელანდია 0:2 ავსტრალია**

0:1, 0:2 ემერტონი (5, 82)

**ახალი ზელანდია:** ჯ. ბეტი, ზოროკიჩი, ნელსენი, ვიკელიჩი, ჯ. პერი (ჯ. დევისი 70), ს. ელიოტი, მ. ბარტონი, ჯეკსონი, ლაინესი (მიკი 46), კილენი, კოვენი

**ავსტრალია:** შვარცერი, შ. მერფი, მუსკატი, პოპოვიჩი, ტ. ვიდმარი, კორიცა, ემერტონი, ლაზარიდისი (ტიატო 63), ოკონი, სკოკო, ზანე (ალოიზი 76)

გაძევება: ტიატო (84)

19 500 მაყურებელი


REUTERS ველინგტონიდან

ავსტრალიელთაგან ყველაზე უხეში დენი ტიატო მასპინძელთა გარემოცვაში

**ველინგტონში** გამარჯვებამ ავსტრალიელები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის სანუკვარ საგზურს მიუახლოვა. ამ წყვილში ორი მატჩის ჯამში გამარჯვებულს ჯერაც გაურკვეველი სამხრეთამერიკული მეხუთე გუნდი ელის დასკვნით პლეი ოფში.

გუშინ კი 20 000-მდე მაყურებლის თვალწინ ოკეანეთის ზონის პლეი ოფის პირველ ფინალურ მატჩში ავსტრალიელებმა მასპინძელი ახალზელანდიელები იოლად დაჩოქეს.

როგორც ცნობილი იყო, ავსტრალიელთა თავკაც ფრენკ ფარინას დიდი სურვილი ჰქონდა, ნაკრებში ლიდსელები — მარკ ვიდუკა და ჰარი კიუელი მიეწვია, მაგრამ თავი შეიკავა. თქვა, ახალზელანდიელებს ალბათ იოლად გავცდებით და ვიდუკა-კიუელსაც სამხრეთამერიკელთათვის შემოვინახავო. რისკიანი კაცი ყოფილა ავსტრალიელთა თავკაცი, თუმცა იმავდროულად იღბლიანი და თავდაჯერებულიც. მოიგო ავსტრალიამ სტუმრად და რაღა ღმერთი გაუწყრება, შინ სამბურთიანი სხვაობით დამარცხდეს. ჰო, კენგურუების ქვეყნის შვილებს ვიდუკა-კიუელის გარდა კიდევ ერთი ფეხბურთელი, მეკარე მარკ ბოსნიჩი აკლდათ. ავსტრალიელმა ბრედ ემერტონმა დუბლი შეასრულა. ინგლისურ „მანჩესტერ სიტიში" მოთამაშე დენი ტიატო კი მსაჯმა მაშინ გააძევა, როცა მასპინძელ კრის კილენს ლამის ფეხი მოსტეხა. საპასუხო მატჩი სიდნეიში 24 ივნისს გაიმართება.

**გიორგი ვაჩაძე**

# კრუს ასულმა კონტინენტები და გაიმრნი არია

**მიუნხენის** „ბაიერნის" ხელმძღვანელობა ბოიკოტით იმუქრება და შესაძლოა საკონტინენტთაშორისო თასისთვის არ ითამაშოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ლიბერტადორესის თასის მფლობელი მექსიკური „კრუს ასული" გახდება.

მექსიკა სამხრეთ ამერიკას არ მიეკუთვნება და არ შეუძლია, ამ კონტინენტის სახელით ჩავიდეს იაპონიაში. უკვე გადაწყვეტილია, რომ ლიბერტადორესის თასის ფინალის შედეგის მიუხედავად, ტოკიოში „ბაიერნის" მეტოქე არგენტინელი „ბოკა ხუნიორსი" იქნება, მაგრამ...

მიუნხენელებს გამარჯვებულ გუნდთან სურთ შეხვედრა და არა მეორეადგილოსანთან. პრობლემა შეიძლება მარტივად გადაწყდეს, თუ „ბოკა ხუნიორსი" „კრუს ასულს" მოუგებს და ლიბერტადორესის თასს დაეუფლება, მაგრამ თუ არგენტინული გუნდი დამარცხდა... ვითარება უფრო დაიძაბება.

**ლაშა გეგეჭკორი**

## ფეხბურთის რუკასთან



**პარაგვაელმა** მცველმა კარლოს გამარამ შესაძლოა კარიერა „მილანში" გააგრძელოს. მისი კლუბი „ფლამენგო" ვალების გამო თანახმაა, იტალიელების მიერ შეთავაზებული 6 მილიონი გირვანქა აიღოს და 30 წლის ფეხბურთელი „სან სიროზე" გაუშვას. იტალიური სააგენტოების ცნობით, გამარას ეროვნულ გუნდში სულ 67 შეხვედრა ჩაუტარებია. აქვე აღვნიშნოთ, რომ „ფლამენგოში" გადასვლამდე იგი მადრიდის „ატლეტიკოს" ღირსებას იცავდა. „მილანის" ახალმა მწვრთნელმა ფატიჰ თერიმმა უკვე გამოთქვა სურვილი, რომ გამარა თავის გუნდში იხილოს.

**იტალიელი** ნახევარმცველის ალესიო ტაკინარდის „იუვენტუსიდან" გადაბირების სურვილი მილანის „ინტერმა" გამოთქვა. ისიც ცნობილია, რომ მილანელები ტურინულ კლუბს სანაცვლოდ 6 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. „ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელობა თითქოს თანახმაა და ახლა თავად ფეხბურთელთან მიმდინარეობს პირად კონტრაქტზე მოლაპარაკება. ცნობისთვის, ტაკინარდი ტურინული კლუბის აღზრდილია და „იუვენტუსში" უკვე მეშვიდე სეზონი დაასრულა.

**კამერუნის** ნაკრების მწვრთნელი პიერ ლეშანტრე ორი თვის მუშაობის შემდეგ თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ კონფედერაციის თასზე ნაკრების შედეგები წარუმატებლად მიიჩნია. იმასაც იუწყებიან, რომ ფრანგ მწვრთნელს გუნდის რამდენიმე წამყვან მოთამაშესთან უთანხმოება ჰქონდა. ნაკრების დროებით მწვრთნელად რობერ კორფუ დანიშნეს, რომელიც აქამდე ფედერაციაში მოღვაწეობდა. ის გუნდს ტოგოსთან მატჩისთვის მოამზადებს. თუ კამერუნელებმა 1 ივლისს მეტოქე დაამარცხეს, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებენ.

**გერმანული** „ვოლფსბურგის" ნახევარმცველმა ბარიდინ ვაგნერმა კარიერა დაასრულა. 33 წლის ფეხბურთელს ბოლო ხანს ტრავმები სტანჯავდა და კარგა ხანია, აღარ უთამაშია. „ეს გადაწყვეტილება ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ მივიღე. მათი თქმით, თამაშის შანსი აღარ მქონდა" — განაცხადა ვაგნერმა და დასძინა, რომ საფეხბურთო მოღვაწეობას კვლავ გააგრძელებს, შესაძლოა, ახალგაზრდა თაობა მოამზადოს. „ვაგნერის გადაწყვეტილება სამწუხაროა, თუმცა გარდუვალი იყო. ვიმედოვნებთ, რომ იგი ჩვენთან პარტნიორობას გააგრძელებს" — განაცხადა „ვოლფსბურგის" გენერალურმა მენეჯერმა პიტერ პანდერმა.

**თურქეთის** 21-წლამდელთა ნაკრების მოთამაშე ბერქანტ გიოქთანი „გალათასარაიმ" მიუნხენის „ბაიერნისგან" შეიძინა. მის სანაცვლოდ სტამბოლურმა კლუბმა 500 ათასი გირვანქა გადაიხადა და ფეხბურთელს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. 21 წლის ფორვარდი მიუნხენშია დაბადებული. სტამბოლში ჩასულმა განაცხადა: „გალათასარაიში" თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი. მოუთმენლად ველი ახალი სეზონის დაწყებას, როცა ამ გუნდში თავის გამოჩენის შანსი მომეცემა".

**რუს** ნახევარმცველ ალექსანდრ მოსტოვოისთან „ფენერბაჰჩე" აწარმოებს მოლაპარაკებებს და მოსალოდნელია, 32 წლის ფეხბურთელი მალე ვიგოს „სელტადან" სტამბოლში გადაიყვანოს. „ფენერბაჰჩე" ჩემპიონთა ლიგისთვის ძლიერდება და რამდენიმე გამოცდილი მოთამაშის დამატებას აპირებს. ახლახან სტამბოლურ კლუბში თურქეთის ნაკრების ნახევარმცველი თემიტ ოზატი ჩაირიცხა. „გენჩლერბირლიგმა" კი მის სანაცვლოდ 3 მილიონი დოლარი მიიღო.

**საფრანგეთის** ჩემპიონ „ნანტის" მცველმა მარიო სალვამ „პორტუსთან" გააფორმა კონტაქტი. პორტუელებმა კი მის სანაცვლოდ 4 მილიონი დოლარი გადაიხადეს. „ნანტის" კიდევ ერთი მოთამაშე სებასტიან პიორელი კი „ბასტიამ" შეიძინა. აღსანიშნავია, რომ 22 წლის ფეხბურთელი ბოლო ხანს სწორედ „ბასტიაში" იყო იჯარით გაშვებული. „ნანტს" კი „ჩელსის" მოთამაშის ბერნარ ლამბურის საფრანგეთში გადაბირება სურს და ლონდონურ კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

**ბერძნული** „არისის" მწვრთნელად ანრი მიშელი დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ ის სპეციალისტია, რომელმაც 1986 წელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთს მესამე ადგილი მოაპოვებინა. 54 წლის მიშელს, რომელმაც სალონიკურ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტს მოაწერა ხელი, ძირითადად ნაკრებებში უმუშავია. 1990-91 წლებში საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე იგი მაროკოს წვრთნიდა. მიშელი „პარი სენ ჟერმენსაც" თავკაცობდა.


**რეკლამა სარბიელ—ში**

**Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80**

**იყიდება როტვეილერის ლეკვები**



☎ 39 42 65

(საღამოს. 19⁰⁰-21⁰⁰)

**24 საათის ინფორმაცია განმავლობაში**

**ფეხბურთი, NHL, NBA**

☎ 8 22 009 000, 8 22 009 001

(1 წთ / 50 თეთრი)


40° Copa América

# Colombia 2001

11 al 29 de julio

# კოლუმბია, როგორც არგენტინა

**კოლუმბიას** არასდროს მოუგია კოპა ამერიკა.

წლევანდელი კოპა ამერიკა კოლუმბიაში იმართება.

თუ ამ ორ ცნობას გავაერთიანებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ კოლუმბიელები სწორედ ახლა შეეცდებიან ტიტულის მოპოვებას. აქ ორი მომენტიცაა გასათვალისწინებული — ბრაზილიის ნაკრები დასუსტებულია, ხოლო არგენტინა განახევრებული შემადგენლობით ითამაშებს. ეს ფაქტორებიც კოლუმბიელთა სასარგებლოდ მეტყველებენ. მაგრამ...

კოლუმბიელთა მწვრთნელმა ფრანსისკო მატურანამ ბრძანა, ფრედი რინკონი, მაურისიო სერნა, ფრენკი ოვიედო, ხორხე ბერმუდესი, არლი დინასი, გონსალო მარტინესი, ხუან პაბლო ანხელი და ფაუსტინო ასპრილია კოპა ამერიკაზე არ ითამაშებენო. მიზეზი იგივეა, რისთვისაც მარსელო ბიელსამ არგენტინის ნაკრებიდან ერნან კრესპო, გაბრიელ ბატისტუტა, ხუან სებასტიან ვერონი, კილი გონსალესი, დიეგო სიმეონე, ვალტერ სამუელი და რობერტო აიალა დაითხოვა — მომქანცველი სეზონის შემდეგ გადაღლილობა.

ფრანსისკო მატურანამ, რომელიც კოლუმბიელთა მწვრთნელად მაისში მეორედ დაინიშნა, პირველი მატჩი 0:3 წააგო. კოლუმბია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ბრაზილიას შეხვდა. ახლა მატურანა ამბობს: „ეს ფეხბურთელები დაღლილები არიან და ვეჭვობ, კოპა ამერიკაზე კარგად ითამაშონ. მით უმეტეს, წინ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში გადამწყვეტი მატჩები გველის და ჯობია, კარგად დაისვენონ, თორემ ვერც კოპაზე ივარგებენ და ვერც შესარჩევ ციკლში".

კოლუმბიის ნაკრებში რამდენიმე ახალწვეულიცაა — ოსკარ დიასი, ხავიერ რესტრეპო, ელსონ ბესერა და ეულალიო არიაგა.

კოლუმბიელთა სრული შემადგენლობა კი ასეთია:

*მეკარეები: ოსკარ კორდობა (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მიგელ კალერო (პაჩუკა, მექსიკა);*

*მცველები: ხერსონ გონსალესი (ამერიკა), ივან რამირო კორდობა (ინტერი, იტალია), მარიო ალბერტო იეპესი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ანდრეს ოროსკო (მედელინი), ხერარდო ბედოია (დეპორტივო კალი), რობერტო კორტესი (მედელინი), ივან ლოპესი (სანტაფე);*

*ნახევარმცველები: ოსკარ დიასი (ტულუა), ხუან კარლოს რამირესი (ატლეტიკო ხუნიორი), ფაბიან ვარგასი (ამერიკა, მექსიკა), ხავიერ რესტრეპო (მედელინი), ფრედი გრისალესი (ატლეტიკო ნასიონალი), მაურისიო მოლინა (ენვიგადო), ჯოვანი ერნანდესი (დეპორტივო კალი), დავიდ ფერეირა (ამერიკა, მექსიკა);*

*თავდამსხმელები: ხაირო კასტილიო (ველეს სარსფილდი, არგენტინა), ვიქტორ არისტისაბალი (დეპორტივო კალი), ელსონ ბესერა (დეპორტეს ტოლიმა), ეულალიო არიაგა (ატლეტიკო ხუნიორი), ელვინ მურილიო (დეპორტივო კალი)*




ფრანსისკო მატურანა ვარჯიშზე



ფრანკო ბარეზი

41 წლისაა. „მილანის“ ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი და კლუბის ახალგაზრდული სექციის დირექტორი გახლავთ.

ბრეშასთან ახლოს, ტრავალიატოში დაბადებული ბიჭი, 14 წლიდან ირიცხება „მილანში“. თუმცა თავიდან გასასინჯად ამავე ქალაქის მეორე გუნდ „ინტერში“ მივიდა, მაგრამ იქაურებმა ფრანკოს მისი ძმა — ჯუზეპე არჩიეს. ფრანკო სამჯერ შეეცადა „მილანში“ მოხვედრას, მილანელოში არაერთი ტესტიც ჩააბარა და მიზანს მაინც მიაღწია — „შავ-წითელთა“ ფეხბურთელი გახდა.

ფრანკო ბარეზიმ 1978 წლის 23 აპრილს „ვერონას“ წინააღმდეგ პირველად ითამაშა სერია A-ში, ხოლო მომდევნო სეზონიდან ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახდა.

80-იანის დასაწყისში „მილანს“ ცუდი დროება დაუდგა. ჩაწყობილი მატჩების გამო (რომელშიც, სხვათა შორის, ბარეზი არ ერია), კლუბი სერია A-დან დააქვეითეს. 1986 წლიდან კი სილვიო ბერლუსკონისა და „მილანის“ დიდების წლები დაიწყო. ბარეზი იმ გუნდის კაპიტანი იყო, რომელშიც გულიტი, რაიკარდი და ვან ბასტენი თამაშობდნენ. ფრანკო 6-ჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, 3-ჯერ მოიგო ჩემპიონთა, 2-ჯერ საკონტინენტთაშორისო და 3-ჯერ ევროპის სუპერ თასები. ჯამში 716 მატჩი ჩაატარა და 33 გოლი გაიტანა.

ეროვნული გუნდის მაისურა 81-ჯერ მოირგო. აშშ-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი გუნდის კაპიტანი გახლდათ და აბა, როგორ დაგვავიწყდება მისი ცრემლები, როცა ფინალში ბრაზილიელებთან პენალტი ვერ გაიტანა...

ბარეზი დღეს იტალიური და მილანური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდაა. ოც წელიწადზე მეტ ხანს ითამაშა ერთ კლუბში, ამიტომაც, მის პატივსაცემად, ექვსნომრიან მაისურას „მილანში“ აღარავინ იცვამს...

კარიერა 1997 წელს დაამთავრა. მას შემდეგ ფეხბურთში ბევრი რამ შეიცვალა. სწორედ ამის შესახებ ესაუბრა იგი იტალიელ ჟურნალისტებს.

# ოცდახუთი წლის რომ ვიყო...

## ფრანკოს რეჟიმი მილანელოში

— თქვენს კარიერას დიდებული შეიძლება ვუწოდოთ. გული თუ გწყდებათ რამეზე?

— არა. გული ნამდვილად არ მწყდება. ერთ გუნდში მრავალი წელი გავატარე. შესაძლოა, სხვა კლუბში რომ გადავსულიყავი, მეტი გამოცდილება მიმეღო, მაგრამ მერწმუნეთ, „მილანთან“ ერთად გატარებული ოცი წელიწადი ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებული რამ გახლავთ.

**— თქვენს პოზიციაზე წლების მანძილზე მსოფლიოში საუკეთესო იყავით, მაგრამ „ოქროს ბურთი“ არასოდეს მიგიღიათ...**

— საერთოდ ბევრს და ხშირად ვიგებდი, თუმცა იმედგაცრუებაც არა ერთი ყოფილა. „ოქროს ბურთი“ კლუბმა და გულშემატკივრებმა მაჩუქეს, რაც ერთობ სასიამოვნო რამ არის.

**— უკვე რამდენიმე წელიწადია, ფეხბურთს აღარ თამაშობთ. რა შეიცვალა ამ დროში?**

— 1997 წლის მერე ბევრი რამ დაიხვეწა. ინტერესები იზრდება და მოგების აუცილებლობაც მატულობს. თუმცა, ამას უარყოფითი მხარეებიც აქვს.

**— ფეხბურთელობისას ცვლილებებს გრძნობდით თუ ყველაფერი მერე დაიწყო?**

—როგორ გითხრათ, 1997 წლიდან, მას შემდეგ, რაც ტელევიზია ფეხბურთში არნახული ძალით შეიჭრა, გუნდებსა და მოთამაშეებზე ზეწოლა გაიზარდა. ყველას მოგება უნდა. ცხადია, გამარჯვება ყოველ დროს სწყუროდათ, მაგრამ ახლა პირველობისთვის ბრძოლა ძალიან გამძაფრდა.

**— რას აძლევს ფეხბურთს ის უდიდესი კაპიტალი, ბოლო 10 წელიწადში რომ ჩაიდო?**

— ვფიქრობ, ფეხბურთში ტელევიზიის მოსვლას თავისი დადებითი მხარეები აქვს. მან ინვესტიციებისთვის აუცილებელი ეკონომიკური საფუძველი შექმნა.

**— თქვენ ერთ-ერთი ბოლო ხართ, ვინც კლუბს მთელი კარიერის მანძილზე უერთგულა. რას ნიშნავდა ეს თქვენთვის?**

— ჩინებული იყო. მე ხომ „მილანში“ გავიზარდე. ახლა მილანი უკვე ჩემი ქალაქია, მიუხედავად იმისა, რომ აქ არ დავბადებულვარ. მილანში 1974 წლიდან ვცხოვრობ.

**— რატომ დაიკარგა კლუბის ერთგული ხალხი? ამის მიზეზი ფულია თუ კიდევ სხვა რამ?**

— არა. ვფიქრობ, ყველაფერი გაცილებით რთულადაა. ახლა თამაშობს პაოლო მალდინი, რომელსაც თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე „მილანი“ არასოდეს მიუტოვებია. საქმე ისაა, რომ დღეს, როცა საზღვრები ასე გაიხსნა, კლუბებს გაცილებით მეტი არჩევანი აქვთ. ახლა რომ 25 წლის ვიყო, კაცმა არ იცის, როგორ მოვიქცეოდი.

**— გამოდის, „ეპოქალური ცვლილება“ მოხდა?**

— დიახ, ზუსტად ასეა.

**— დღეს მსაჯების შესახებ ბევრს ლაპარაკობენ: მათი გახშირებული შეცდომები ფეხბურთის ინტერესს ხომ არ დაუკარგავს ხალხს?**

— (იცინის). არა. ვფიქრობ, მსაჯები ფეხბურთისა და თვითონ თამაშის ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ. ცხადია, ზოგჯერ ცდებიან, მაგრამ განა მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს არ ეშლებათ არაფერი? ასე რომ, მსაჯები რაღაც განსაკუთრებულ პრობლემებს არ ქმნიან. ისინი თამაშს ინტერესს ვერაფრით დაუკარგავენ, რადგან კარგად არიან მომზადებული.

**— პროფესიონალ მსაჯებზე რას ფიქრობთ?**

— ალბათ, ცუდი არ იქნება, თუმცა ზოგადად ბევრს არაფერს შეცვლის. ეგ არის, ადრე უკონტრაქტოდ მუშაობდნენ, ახლა კი ხელშეკრულებებს გააფორმებენ.

**— დოპინგი, სარფიან კონტრაქტებზე ნადირობა... რა ელის ფეხბურთს მომავალში?**

— ცხადია, ყველაფერში ზომიერებაა საჭირო — მოთამაშეთა ფასები, საკონტრაქტო თანხები, დოპინგის პრობლემა, ყველაფერს კონტროლი სჭირდება. ეს არა მარტო ფეხბურთს, მთლიანად სპორტს ეხება.

**— დღეს „მილანის“ ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი ბრძანდებით. თანაც ახალგაზრდებზე აგებთ პასუხს. როგორ ფიქრობთ, რა არის საფეხბურთო სკოლების მთავარი ამოცანა?**

— მთავარი ფუნქცია ბავშვობიდანვე დაოსტატებული მოთამაშეების აღზრდაა. აუცილებელია, ტალანტების პოვნა და მათი პროფესიონალებად ჩამოყალიბება. საჭიროა, ირგვლივ ჯანმრთელი გარემო იყოს. პატარებმა უნდა ისწავლონ ყურადღებით, ფრთხილად თამაში და რაც ყველაზე მთავარია, წესიერად ცხოვრება.

# ანდონის ფული რად მინდა...

**გადაწყდა** — მადრიდულ „რაიო ვალეკანოს“ ანდონი გოიკოეჩეა ჩაიბარებს. გავიხსენოთ, რომ რამდენიმე დღის წინ ხუანდე რამოსმა დედაქალაქური კლუბი მიატოვა, ჩემი მიზნები და სურვილები კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას არ ემთხვევაო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არ ცდილობს, ნაკრებს დროულად მოუძებნოს მწვრთნელი, თორემ „რაიო ვალეკანოს“ ამ საქმისთვის ორი დღეც ეყო და, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ანდონი გოიკოეჩეა შეიგულა.

თავდაპირველად კანდიდატი სამი იყო: გოიკოეჩეა, მიგელ ანხელ ლოტინა და გრეგორიო მანსანო. ამ უკანასკნელის მიწვევის ვარიანტი კლუბში სერიოზულად არც განუხილავთ, ლოტინამ კი ყოყმანი დაიწყო, თავის ახლანდელ გუნდ „ოსასუნასთან“ სიტყვიერი შეთანხმება ჰქონია, გაისადაც ვიმუშავებო და საბოლოოდ „რაიოს“ გოიკოეჩეა შერჩა.

მადრიდელთა გენერალურმა დირექტორმა ალვარო რუის მატეოსმა თქვა: „კონტრაქტი ჯერ არ გაგვიფორმებია, მაგრამ ყველა საკითხი შეთანხმებული გვაქვს. გვსურს, რომ ანდონიმ რაც შეიძლება მალე დაიწყოს მუშაობა, რათა ახალი სეზონისთვის უკეთ მოვემზადოთ. მან იცის, რა გვსურს და ჩვენც ვიცით მისი შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, არანაირი პრობლემა არ გვაქვს.“



ანდონი გოიკოჩეას ფეხბურთელობისას ესპანეთის ნაკრების მაისურაც მოურგია

ანდონი გოიკოეჩეამ, „ნუმანსიასა“ და „რასინგის“ ყოფილმა მწვრთნელმა, „მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „ახლა ძალიან იოლია ლაპარაკი იმაზე, რომ ევროტურნირზე მოხვედრისთვის ვიბრძოლებთ. ჯობს, საქმეს მივხედოთ, ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი. წინადადებები სხვა კლუბებიდანაც მქონდა. ბერძნულმა „არისმა“ „რაიოზე“ უკეთესი პირობები შემომთავაზა, მაგრამ ჩემთვის ფული მთავარი არ არის.“

**გიორგი დარჯანია**

# ვიცედან ვიცეში

## არსენი ჯერ მხოლოდ ართმევს

**ორი** დღე ამოწმებდნენ „არსენალის“ ექიმები ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის საზარდულს. აქედან უარეს, იქიდან, მაგრამ შემაშფოთებელი ვერაფერი ნახეს და საქმეც გაიჩარხა — 26 წლის ჰოლანდიელი 8,5 მილიონ გირვანქად შოტლანდიის ვიცე-ჩემპიონ „რეინჯერსიდან“ ინგლისის ვიცე-ჩემპიონ „არსენალში“ გადავიდა.

სოლიდური თანხის მიღების მიუხედავად, გლაზგოური კლუბის თავმჯდომარე დევიდ მიურეი გაწბილებული დარჩა: „ბოლო წლის განმავლობაში არაერთხელ ვეცადეთ, მასთან ახალი კონტრაქტი გაგვეფორმებინა, მაგრამ ამაოდ. რა თქმა უნდა, გვეწყინა, რომ ჯოვანი დავთმეთ, თუმცა მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემთ“.

სამაგიეროდ, სამშაბათს შემდგარი გარიგებით ფრიად გახარებულნი არიან თავად ფეხბურთელი და მისი ახალი კლუბი. „მისტერ ვენგერს უკვე ვესაუბრე. მან მითხრა, რომ ჩემი ნახევარდაცვის მარცხენა ნაწილში გამოყენება სურს. ესე იგი, პატრიკ ვიეირას მხარდამხარ ვითამაშებ, რაც დიდად სასიამოვნო რამაა“ — თქვა ვან ბრონკჰორსტმა, ვისაც თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში 21 მატჩი აქვს ჩატარებული და კარგად იცნობს კიდევ ერთ ჰოლანდიელ „მეთოფეს“, დენის ბერხკამპს — „წინა კვირაში დენისს დავურეკე და „არსენალის“ ჩემით დაინტერესება ვაუწყე. გაუკვირდა, თუმცა ძალიან გაუხარდა და წარმატებები მისურვა. ის კარგი ბიჭია და ბედნიერი ვარ, რომ მისი თანაკლუბელი გავხდი“.

„ჯოვანი ჩინებული პასებისა და სუპერტექნიკის პატრონია. მისი შესაძლებლობა და გამოცდილება დიდად შეგვეშველება“ — ეს კი არსენ ვენგერის სიტყვებია.

როგორც ზემოთ ვთქვით, ერთადერთი, რაც ჰოლანდიელის ლონდონში გადასვლას შეაფერხებდა, მისი საზარდული გახლდათ. ის დიდი ხანია აწუხებს და დეკემბერში ოპერაციაც კი გაიკეთა, თუმცა მოედანზე მარტში დაბრუნებულს 20 წუთში ისევ დაუშავდა და ორიოდ კვირა გააცდინა. ახლა თითქოს ყველაფერი რიგზეა და ჯოვანისაც ერთი სული აქვს, როდის შეუდგება „ჰაიბერიზე“ ვარჯიშს.

რაც შეეხება მის ხელფასს, ინგლისური გაზეთების ცნობით, ვან ბრონკჰორსტი კვირაში დაახლოებით 30 ათას გირვანქას მიიღებს — ოდნავ მეტს, ვიდრე „არსენალის“ კიდევ ერთი ახალი შენაძენი, ახალგაზრდა თავდამსხმელი ფრენსის ჯეფერსი, რომელიც „ევერტონიდან“ 10 მილიონად გადაიბირეს.

**გიგა კობახიძე**



ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასჭირდება მხრის ოპერაცია?

## გიორგაძეთა ძმური არჩევანი

### აქვსენტი გიორგაძე

*რამდენიმე დღის წინ ილია ზედგინიძემ „ტულონთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მაშინ ილომ ისიც გვითხრა, დღე-დღეზე აქ აქვსენტი გიორგაძეც ჩამოვა და ისიც ტულონელი გახდებაო. ჩვენც საფრანგეთში დავუკავშირდით 25 წლის აქვსენტი გიორგაძეს, რომელსაც ჩვიდმეტი სანაკრებო კეპი მოუხვეჭავს და ოთხი ლელოთიც გაუმდიდრებია თვის სანაკრებო კარიერა. მორაგბის პასუხმა ცოტა არ იყოს, დაგვაბნია. „კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია" — მოგვიგო ეროვნული გუნდის მორკინალმა, მიზეზის თაობაზე რომ დავეკითხეთ, ეს გვიპასუხა:*



— ბრიტანეთში საშვიდკაცო ტურნირებზე ვითამაშე, კარდიფში მხრის ტრავმა მივიღე. ხვალ სურათს გადამიღებენ და საბოლოო დასკვნასაც გამოიტანენ. მგონი, საოპერაციო ვარ, ყოველ შემთხვევისთვის, საქმე აქეთკენ მიდის. ვნახოთ, რას მეტყვიან ექიმები. საბოლოო დიაგნოზის შემდეგ დავჯდებით მე და „ტულონის" უფროსობა და მოვილაპარაკებთ.

**— თუ ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა და საოპერაციო გახდი, ხომ არ იქონიებს ეს გავლენას „ტულონში" გადასვლაზე?**

— სწორედ ამიტომ ველოდებით ორივე მხარე ექიმების ვერდიქტს. ოპერაციის შემთხვევაში სარეაბილიტაციო პერიოდი შეიძლება ექვს თვემდე გაიწელოს, მერე როდის მე ფორმას აღვიდგენ. არა მგონია, ამ შემთხვევაში „ტულონის" ხელმძღვანელობამ კონტრაქტის გაფორმება ისურვოს. ერთი სიტყვით, ჩემი ბედი ექიმების ხელშია.

**— ახლა ტულონში ხარ?**

— კი, ტულონში ვარ. აქაურ ექიმებს უნდა გავესინჯო.

**— ტრავმა როდის მიიღე?**

— ესპანელებთან მატჩში დავშავდი. მეტოქე დამეჯახა, მხრის საშინელი ტკივილი ვიგრძენი, მივხვდი, საქმე ცუდად იყო.

**— მკურნალობის ხარჯებს ვინ კისრულობს?**

— ხარჯებს მე დავფარავ, უფრო ზუსტად, სადაზღვევო კომპანია გაიღებს თანხებს, როგორც საფრანგეთში მომუშავე ყველა პირს, მეც მაქვს სადაზღვევო პოლისი.

**— „ბორდოდან" საბოლოოდ წამოხვედი?**

— ასე გამოდის, თუმც კონტრაქტით ისევ „ბორდოს" ვეკუთვნი.

**— რამდენ წლიანი კონტრაქტი გაკავშირებს „ბორდოსთან"?**

— არა, წლებზე აღარაა საუბარი. სეზონის წინ შევუერთდი „ბორდოს" და ერთი წლით დავუკავშირე ჩემი კარიერა. ვადა თვის ბოლოს იწურება. რადგან ტრავმირებული ვარ და სეზონიც დასრულდა, „ბორდოს" ხელმძღვანელობამ შვებულებაში გამიშვა.

**— თუ „ტულონში" ვერ გადახვედი, უგუნდოდ ხომ არ დარჩები?**

— არა, „ტულონის" გარდა კიდევ არის სხვა ვარიანტები. უბრალოდ, „ტულონი" საუკეთესო არჩევანი იქნებოდა...

**— ისე ლაპარაკობ, თითქოს ხელი გქონდეს ჩაქნეული.**

— არა, იმედი კიდევ მაქვს, მაგრამ ვხვდები, რომ საოპერაციო ვარ. არ ვიცი, როგორ მოიქცევა „ტულონის" პრეზიდენტი. საბოლოო სიტყვა მისია. ისე, არის შანსი, „ტულონში" დავრჩე, მაგრამ ალბათ სხვა პირობებს შემომთავაზებენ. ვნახოთ, რა იქნება.

**— ახლა ფაქტობრივად თავისუფალი ხარ. როგორ ატარებ დროს?**

— მსუბუქად ვვარჯიშობ ყოველდღე, დავრბივარ, ბურთთანაც ვურთიერთობ. ცოტას მძლეოსნობაშიც ვვარჯიშობ. ვცდილობ, ფორმა შევინარჩუნო.

**— ახლახან კარდიფის საშვიდკაცო ტურნირიდან დაბრუნდი, მანამდე ლონდონშიც ითამაშე. შერკინების კვალი, შვიდკაცა რაგბის როგორ მოერგე?**

— ადაპტაცია არ გამჭირვებია. სანამ ტრავმას მივიღებდი, ყველა მატჩი ვითამაშე. მწვრთნელებიც, კლოდ სორელი და მალხაზ ჭეიშვილი, კმაყოფილები დარჩნენ. რუმინეთთან მატჩის შემდეგ ფიზმომზადების მწვრთნელმა ტიერი რუდილმა შვიდკაცა ნაკრების ყველა კანდიდატს სპეციალური სავარჯიშო პროგრამა ჩამოგვირიგა. „ბორდოში" რომ ჩავედი, ამ პროგრამით ვივარჯიშე და საშვიდკაცო რაგბიში საჭირო კონდიციებსაც მივაღწიე.

**— შენი პირველი ფრანგული კლუბი სამოყვარულო „ერ სიურ ლადური" იყო...**

— საშუალო დონის გუნდია. ფრანგული კარიერის საწყის ეტაპზე ურიგო ვარიანტი ნამდვილად არ ყოფილა. „ერ სიურ ლადური" ტრამპლინად გამოვიყენე. ამ გუნდში ორი წელი დავყავი, შარშან კი „ბორდოში" გადავედი.

**— საფრანგეთში წასვლაში ვინ დაგეხმარა?**

— კლოდ სორელი, კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილი და პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე.

**— სანამ საფრანგეთში წახვიდოდი, „გუმარში" გაატარე ერთი წელი...**

— მაშინ „გუმარის" მწვრთნელი გურამ მოდებაძე იყო. 1998 წელს სწორედ მან წამომიყვანა „აიადან". სხვათა შორის, მისი დიდი დამსახურებაა, მე რომ საფრანგეთში ვთამაშობ. მან ბოლომდე მიპატრონა და გაჭირვების დროს ყველანაირად დამეხმარა.

**— „გუმარი" ერთადერთი გამონაკლისი იყო, მანამდე მუდამ „აიაში" თამაშობდი.**

— „აიაში" ოთხი წელი დავყავი, სხვაგან არც მინდოდა გადასვლა. რა სჯობია, როდესაც მშობლიური ქალაქის ღირსებას იცავ. „აიაში" გატარებული წლები ერთი სიამოვნება იყო, მაგრამ მერე ქუთაისში რაგბის გაუჭირდა და „გუმარში" გადავედი.

**— რაგბის ქუთაისურ სკოლას მართლაც დიდი ტრადიციები აქვს.**

— იმდენად დიდი, რომ ამაზე ლაპარაკს არ დავიწყებ. თუ დღეს რამეს წარმოვადგენ, სწორედ რაგბის ქუთაისური სკოლის დამსახურებაა.

**— შენი პირველი მწვრთნელი ვინ იყო?**

— მწვრთნელი ორი მყავდა. ცნობილი სპეციალისტები — რამაზ სვანაძე და დიმიტრი ფულარია, მათგან ბევრი ვისწავლე.

**— სამივე ძმა მორაგბეები ხართ. შუათანა ძმა კობა და უმცროსი ირაკლი ახლა „აიაში" თამაშობენ, ირაკლი კი ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებების წევრიცაა. რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?**

— ჩვენი მამიდაშვილი ავთო ჯინჭარაძე წლების მანძილზე „აიაში" თამაშობდა. საკმაოდ კარგი მორაგბე იყო. რაგბის თამაში მან შემოგვთავაზა. ჩვენც დავთანხმდით. იმ დღიდან რაგბი შევიყვარეთ.

**— ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი შერკინების ტვინს გეძახის...**

— ძალიან სასიამოვნოა, როდესაც მწვრთნელი ასე მოგიხსენიებს და გენდობა, განსაკუთრებულს ვერაფერს გეტყვით, ვაკეთებ იმას, რაც ვიცი. ეროვნული ნაკრების მორაგბეს არ აქვს უფლება, თავი დაზოგოს. მეც რაც შემიძლია, ყველაფერს მოედანზე ვდებ. მაქვს პატარ-პატარა სისუსტეები, რომლებსაც ვარჯიშის შედეგად გამოვასწორებ.

**— ნაკრებში ნათამაშევი მატჩებიდან რომელს გამოარჩევდი?**

— რა თქმა უნდა, რუმინეთთან ბუქარესტში გამართულ მატჩს. მართალია, ყვითელი ბარათიც მივიღე და ათი წუთი ვერაფრით შევეშველე გუნდს, მაგრამ ვთვლი, რომ საუკეთესო მატჩი სწორედ რუმინეთთან ვითამაშე. სხვათა შორის, ბუქარესტული მატჩი საუკეთესო იყო ნაკრების ისტორიაში. ორმაგად მიხარია, რომ ეს თაობა უკვალოდ არ გაქრა და ქართველ ხალხს დიდი სიხარული მიანიჭა, თანაც ეს არ არის ჩვენი მაქსიმუმი, უფრო დიდი გამარჯვებები წინ გველის.

**ბაჩო სვანიძე**



2000 წლის 17 თებერვალი. საქართველო — პორტუგალია 36:12.
აქვსენტი გიორგაძე (ბურთით) პორტუგალიელებს გაექცა



ლევან მგელაძე: რა უნდათ ჩემგან?!

# შეიგინა მგელაძემ?

**გუშინ** გაცნობეთ, რომ საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა განვლილი ტურის „დათვები" — „ყოჩების" მატჩში მომხდარი ინციდენტები განიხილა. მსაჯ ნოდარ რობიტაშვილის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ყოჩი გოჩა ბარძიმიშვილი თვრამეტკვირიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, „დათვების" მთავარი მწვრთნელის, ლევან მგელაძის საკითხი კი სამშაბათს გადაწყდება. ზღვისპირელთა დამრიგებელი სტკ-ს სხდომას დაესწრება და მომხდარში დეტალურად გარკვევის შემდეგ განაჩენსაც მოისმენს. თუმც არც ის არის გამორიცხული, გამოცდილი სპეციალისტი გაამართლონ. ლევან მგელაძეს მსაჯის მიმართ უხამსი გამონათქვამები ბრალდება. სადისციპლინო კომიტეტი წინასწარ კომენტარისგან თავს იკავებს. სამაგიეროდ, თავად **ლევან მგელაძე** დაგვთანხმდა კომენტარზე:

*„სტკ-ს სხდომაზე რომ მიბარებენ, ეს თქვენი გაზეთის საშუალებით გავიგე. ჩემთვის ჯერ არავის არაფერი უთქვამს. ვერ გავიგე, რა უნდათ ჩემგან? რას მერჩიან? მთელი მატჩის განმავლობაში „ყოჩების" მორაგბეები აგინებდნენ მთავარ მსაჯს. ნოდარ რობიტაშვილმა მართლაც ცუდად იმსაჯა, მე მას ვუთხარი, რომ რასაც „ყოჩები" გეუბნებოდნენ, მართლები იყვნენ მეთქი. პირადად მე ერთი აუგი არ დამცდენია არც მსაჯზე, არც რაგბის კავშირზე და საერთოდ, ისეთი არაფერი გამიკეთებია, ჩემი საკითხი სტკ-მ განიხილოს. ეგ კი არა, მატჩის შემდეგ „ყოჩების" მორაგბეებმა მსაჯისკენ გაიწიეს და რომ არა იქვე მყოფი რამდენიმე პოლიციელი, ალბათ, კარგი დღე არ დაადგებოდა ნოდარ რობიტაშვილს. მე ჩამოვალ სტკ-ს სხდომაზე და მატჩის ვიდეოფირსაც ჩამოვიტან. იქ ნათლად ჩანს, რა ხდებოდა შეხვედრის დროს. ისიც კარგად ჩანს, რომ მატჩის დასრულებისთანავე „ყოჩების" მთავარ მწვრთნელ ამირან თეზელაშვილთან ერთად სტადიონი დავტოვე. ამირანს მორაგბეებისთვის პროდუქტის შეძენაში დავეხმარე".*

ასე თუ ისე, სამშაბათს ყველაფერს ნათელი მოეფინება და მტყუან-მართალიც გაირჩევა.

მანამდე კი, როგორც აღვნიშნეთ, სადისციპლინო კომიტეტმა „ყოჩთა" უკანახაზელი გოჩა ბარძიმიშვილი თვრამეტი კვირით მოკვეთა რაგბიდან. ეს საკმაოდ მძიმე სასჯელია. მორაგბეს ფაქტობრივად სეზონის მეტი წილი უქმად მოუწევს ყოფნა და მხოლოდ პლეი ოფში შეეშველება მშობლიურ გუნდს. სამართლიანად მიიჩნევს თუ არა ბარძიმიშვილის კლუბის ხელმძღვანელობა დისციპლინართა გადაწყვეტილებას, ამის გასარკვევად „ყოჩების" პრეზიდენტ **გიორგი გეგენავას** დავუკავშირდით:

*„მაინც მეგონა, რომ ამხელა ვადით არ დასჯიდნენ მორაგბეს. საერთოდ ვიცოდი, რომ მაქსიმალური სასჯელი თორმეტი კვირაა, ამის შემდეგ უკვე სამუდამო დისკვალიფიკაციაა. ეტყობა, რაღაცაში ბოლომდე არ ვარ გარკვეული, თორემ არა მგონია, სტკ-ს დებულებისთვის ეღალატა და მაინცდამაინც ბარძიმიშვილი დაესაჯა საკმაოდ მკაცრი სასჯელით.*

*თუმცა, ალბათ არის შესაბამისი კანონები, რომელთა გათვალისწინებითაც შეიძლება სტკ მართალია. ერთიცაა, უპრიანი იქნებოდა, სადისციპლინო კომიტეტს მატჩის დაძაბულობა და მსაჯის მოქმედებაც გაეთვალისწინებია, მაგრამ რა გაეწყობა, კანონი — კანონია".*

**ბაჩო სვანიძე**

# უნგრული ფარის ქართულად მსხვრევა

## ნაცვლიშვილს ისრაელი და საფრანგეთი ვერ იყოფენ




***საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში სატრანსფერო ფირმა „კორტ საიდის“ მიერ მოწყობილ საწვრთნელ-საჩვენებელ შეკრებაზე იმყოფებოდა. მან სხვადასხვა ქვეყნის კალათბურთელებისგან დაკომპლექტებულ გუნდში სამი მატჩი ითამაშა და ამ მინი-ტურნირის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედაც დასახელდა. ისრაელი, საფრანგეთი, პორტუგალია, ჰოლანდია — ეს ის ქვეყნებია, რომელთა გუნდებმაც ქართველ ფორვარდს უკვე შესთავაზეს კონტრაქტი და ეს სრული სია როდი გახლავთ. გადაწყვეტილია, ნაცვლიშვილი საქართველოს დატოვებს. მისი მომავალი კლუბი, სავარაუდოდ, ფრანგული ან ისრაელური იქნება, რადგან ყველაზე მეტად ისინი აქტიურობენ, თუმცა საბოლოო სიტყვა თავად კალათბურთელზეა. უმჯობესია, უნგრულ შეკრებასა და დაინტერესებულ კლუბებზე თავად ვახტანგ ნაცვლიშვილმა გვიამბოს.***

— ამ შეკრებაზე გამართულ ტურნირში რვა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. თავიდან არც ერთი მათგანის განაცხადში არ ვიყავი, რადგან ბუდაპეშტში კიდევ უნდა ჩამოსულიყო ორი გუნდი, ნბა-ს თვალთახედვის არეში მოხვედრილებით დაკომპლექტებული „ოლ სტარზი“ და „ჩელენჯერსი“, რომლებიც უკონკურსოდ გამოვიდოდნენ და მხოლოდ საჩვენებელი ვარჯიშებით შემოიფარგლებოდნენ. მე „ოლ სტარზის“ შემადგენლობაში უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ მათ ჩამოსვლა ვერ მოახერხეს და ჩემმა მენეჯერმა ერთ-ერთ გუნდში გამიხერხა ადგილი, რომელშიც ჩემს გარდა ორი თურქი, ბულგარელი, ამერიკელი, სლოვაკი და ჰოლანდიელი გამოდიოდნენ. ეს გუნდი ძალიან ძლიერი არ იყო, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, ფინალში გასვლა და ტურნირის მოგება თვითმიზანი არავისთვის ყოფილა. თითოეულ გუნდს სამი თამაშის ჩატარება მოუწია და ყოველი კალათბურთელისთვის მთავარი ამ მატჩებში თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენა გახლდათ. ჩვენი გუნდის გარდა ასპარეზობდნენ იუგოსლავიის ორი, ხორვატიის, ლიტვის, ისრაელისა და კიდევ ჩვენსავით ინტერნაციონალური ორი გუნდი. ტურნირი მეოთხედფინალიდან დაიწყო და ეს ეტაპი ჩვენმა გუნდმა წარმატებით დასძლია. მომდევნო, ნახევარფინალური მატჩი იუგოსლავიის გუნდთან გავმართეთ და დავმარცხდით. მესამე ადგილისთვის მატჩში ხორვატებს ვაჯობეთ, ტურნირის გამარჯვებული კი ის იუგოსლაველები გახდნენ, რომლებთანაც ნახევარფინალი დავთმეთ.

**— ცნობილი მოთამაშეები თუ გამოდიოდნენ ამ ტურნირში?**

— იქ მყოფთაგან თითქმის ყველა ძალიან ახალგაზრდა გახლდათ. მარტო ოცი კალათბურთელი იუგოსლავიიდან იყო, რომელთაგანაც რამდენიმე ამ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. ქართველი გულშემატკივრებისთვის მათი სახელები იქნებ არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ ისინი მაღალი დონის კალათბურთელები არიან. ნაცნობთაგან შემიძლია დავასახელო ბელარუსი ალექსანდრ კული, რომელიც ჩემი თანაგუნდელი უნდა ყოფილიყო „ოლ სტარზში“, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამერიკელები ვერ ჩამოვიდნენ, სხვაგან გადასვლა ვერ მოახერხა და მხოლოდ ვარჯიშებით შემოიფარგლა.

**— როგორ ითამაშეთ ამ მატჩებში, დაინტერესდნენ თქვენით?**

— დავიწყებ იქიდან, რომ ამ ტურნირის ბომბარდირი გავხდი. მოხსნებშიც და ჩაჭრებშიც მეორე ადგილი დავიკავე. საბოლოოდ, საერთო მაჩვენებლებით ტურნირის ყველაზე სასარგებლო კალათბურთელად დამასახელეს და აქედან გამომდინარე, ჩემით დაინტერესება საკმაოდ ბევრმა სპეციალისტმა და გუნდმა გამოთქვა.

**— რომელი ქვეყნის გუნდები არიან?**

— ორი ისრაელის გუნდია, ერთი საფრანგეთის, ერთი პორტუგალიის და ორიც ჰოლანდიის. მათ გარდა კიდევ ბევრმა მომმართა წინადადებით, მაგრამ მათზე საუბარი შორს წაგვიყვანს. გრანდების კატეგორიას არც ერთი არ განეკუთვნება, საშუალო დონის კლუბები არიან.

**— მაინც ყველაზე მეტად რომლები აქტიურობდნენ.**

— ისრაელის ორმა და ერთმაც ფრანგულმა გუნდმა ჩემი თავი ვერ გაიყვეს. ბევრმა კალათბურთელმა ადგილზე გააფორმა კონტრაქტი. მეც შემეძლო ამის გაკეთება, მაგრამ თავი შევიკავე. რატომ ვიჩქარო, ჯერ დრო მაქვს. ვიფიქრებთ მე და ჩემი მენეჯერი და გადავწყვეტთ, რომელ ქვეყანაში სჯობს თამაში.

**— კლუბებს არ დააკონკრეტებთ?**

— იქიდან გამომდინარე, რომ ისრაელისა და საფრანგეთის გუნდები ძალიან სერიოზულად არიან დაინტერესებულნი და ჩემი სიმპატიებიც ამ ქვეყნებისკენ იხრება, ამ ეტაპზე მათ დასახელებისგან თავს შევიკავებ. რაც შეეხება პორტუგალიურ კლუბს, ეს „ტელეკომი“ გახლავთ, რომელიც ქვეყნის ჩემპიონია და ევროლიგაში ითამაშებს. არის კიდევ ორი ჰოლანდიური კლუბი, „ეფელ თაუერზი“ და მეორეს სახელწოდება სამწუხაროდ არ მახსოვს.

**— გამოდის, საქართველოს დატოვება უკვე გადაწყვიტეთ?**

— დიახ. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, თუ რომელ ქვეყანაში წავიდე. არჩევანს ალბათ საფრანგეთზე ან ისრაელზე შევაჩერებ.

**— კიდევ რით დაამახსოვრეთ თავი უცხოელებს?**

— თამაშის გარდა ალბათ იმით, რომ ერთ-ერთ მატჩში მორიგი ჩატენვისას ფარი ჩამოვამსხვრიე და მის შეკეთებას ერთი საათი დასჭირდა. არ ვტრაბახობ, მაგრამ საქართველოში ჩატენვის ყველაზე დიდი მოყვარული, ალბათ, მე ვარ. ამის მცირე შანსსაც კი არ ვუშვებ ხელიდან. უნგრეთში ჩატენვის შესაძლებლობა ხშირად მეძლეოდა და მეც ვცდილობდი, თავი გამომეჩინა. იმის მიუხედავად, რომ დარბაზი მთელი ერთი საათით მოვაცდინე, ერთობ ნასიამოვნები დავრჩი, რადგან დიდი ხნის ოცნება ავისრულე, თანაც უცხოეთში, ყველას დასანახად. კარგია, რომ ამას უნგრული და არა ქართული ფარი შეეწირა.

**— სავარაუდოდ, რამდენწლიან კონტრაქტს მოაწერთ ხელს?**

— ალბათ ერთწლიანს, რადგან ჩემს მსურველებს შორის არც ერთი არ გახლავთ გრანდი. არც მე ვარ 18 წლის ახალგაზრდა, რომ ხუთწლიან ან ექვსწლიან კონტრაქტს დავყაბულდე. ერთწლიან ხელშეკრულებას გავაფორმებ, უკან დასახევი გზა რომ მქონდეს.

**— თქვენი მომავალი კლუბის ვინაობა როდის გაირკვევა?**

— აგვისტოში უკვე ცნობილი იქნება, თუ რომელ გუნდში გადავალ. მანამდე კი თბილისში ვიქნები. ვივარჯიშებ და ვეცდები, ფორმა შევინარჩუნო.

**ირაკლი ბერტაია**

FF BB — საფრანგეთი

# ვილერბანი სათადარიგოებმა გადაარჩინეს... სირცხვილს

### პლეი ოფი

ფინალი (ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ვილერბანი | 0 |
| პო ორტეზი | 1 |

**ვილერბანი 78:90 პო ორტეზი**

**ვილერბანი: ბონატო (14), სკიარა (7), პლიუვი (6), პაშუტინი (8), ჰოფმანი (10), ბლომი (5), ედვარდსი (9), ფრიგუ (8), ბილბა (7), ჯეიმსი (4)**

**პო ორტეზი: ფოტუ (8), მაკკალოფი (9), მ. პიეტრუსი (2), დიუბო (15), ესტელერი (19), ფ. პიეტრუსი (12), დიავი (8), ნვოსუ (12), სლივანჩანინი (5)**

„დღეს მოედანზე ორი გუნდი იყო, რომელთაგან ერთი კალათბურთს თამაშობდა, მეორეს კი არაფერი გამოსდიოდა. როცა თასის ფინალში მოგვიგეს, ვილერბანელები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, ამჯერად კი ჩვენ ვიმძლავრეთ. თუმცა მოგება თავში არ უნდა აგვივარდეს, რადგან მეტოქეს მშვენიერი კალათბურთელები ჰყავს და მეორე მატჩში შეუძლებლის შეძლებასაც ეცდებიან“ — თქვა „პო ორტეზის“ მთავარმა მწვრთნელმა კლოდ ბერჟერომ 19 ივნისს ვილერბანში გამარჯვების შემდეგ.

მისმა კოლეგამ და მეტოქემ გრეგ ბენიომაც, რა თქმა უნდა, შეაფასა ფინალური სერიის პირველი შეხვედრა: „არანაირი გამართლება არ გვაქვს. ჩემპიონობის მოსაპოვებლად აბსოლუტურად სხვანაირი თამაშის ჩვენება გვმართებს, ვიდრე დღეს. „პო ორტეზმა“ დაგვანახვა, რომ ოქროს მედლების მოპოვება ძალიან სურს. კიდევ კარგი, სათადარიგოებმა მაინც გამოიღეს ხელი, თორემ სამარცხვინოდ, 30 ქულით მაინც წავაგებდით.“

„ძალიან, ძალიან ცუდად ვითამაშეთ“ — ძლივს ამოღერღა ჯიმ ბილბამ.

სტუმართა ესპანელ ლეგიონერ როჯერ ესტელერს კი ლაპარაკის საღერღელი აშლოდა: „ყველამ ნახა, როგორ მოგვიგეს ბერსიში (თასის ფინალში) ვილერბანელებმა. თუმცა იმ წაგებამ ფსიქოლოგიურად ვერ გაგვტეხა, ჩვენი თამაშის პოვნა შევძელით. პოში რომც დავმარცხდეთ, გადამწყვეტ მატჩში უპირატესობა მაინც გვექნება, რადგან მეტოქეს ემახსოვრება, როგორ ვძლიეთ მისსავე მოედანზე.“

შეხვედრამდე „ვილერბანი“ უპირობო ფავორიტად მოიაზრებოდა. მან პლეი ოფის ყველა მატჩი მოიგო, თასის ფინალში სწორედ „პო ორტეზი“ გაანადგურა (99:74) და ახლა რატომღა უნდა წაეგო?

თუმცა მასპინძლებმა ლოგიკა არად ჩააგდეს და წააგეს.

„მწვანეები“ ჩემპიონატის ფინალში ერთგვარად დათარსულები არიან. ისინი ბოლო ხუთი წლის მანძილზე მეოთხედ იბრძვიან ჩემპიონობისთვის ბოლომდე, მაგრამ აქამდე ერთხელაც ვერ გაიხარეს. ახლაც თითქოს ხელი აუკანკალდათო და ვერაფრით გაისწორეს მიზანი.

საწინააღმდეგო მხარეს კი ესტელერს და სხვებს აეწყვიტათ და მალე 12:6 დაწინაურდნენ. მე-9 წუთისთვის კი სტუმართა უპირატესობამ 16 ქულას (!) უწია — 29:13. მეოთხედის ბოლო წუთი მასპინძლებმა მშვენივრად ჩაატარეს და 7:0 მოიგეს, მაგრამ მეორე ათწუთეულიდან მოყოლებული ისევ ხეებივით გაშეშდნენ და...

6,25-მეტრიანი ხაზის გარედან ფრედერიკ ფოტუმ და ფაბიენ დიუბომ რამდენიმე ტყორცნა ჩააგდეს და ტაიმის დასასრულს „პო ორტეზი“ 54:33 გაიჭრა წინ.

ბეარნელებისთვის ეს უპირატესობა სავსებით საკმარისი იყო. ისინი დაცვაში ძალიან მჭიდროდ მეურვეობდნენ მოწინააღმდეგეებს, თავდასხმაში აუღელვებლად და აუჩქარებლად ირჯებოდნენ და მესამე მეოთხედის შემდეგ 26 ქულას (72:46) იგებდნენ. თანაც ვილერბანელებს ბედიც არ სწყალობდათ — რამდენჯერმე მათი ტყორცნების შემდეგ ბურთი კალათზე დატრიალდა, შიგნით კი არაფრისდიდებით ჩაეშვა.

დასკვნით მეოთხედში პიტერ ჰოფმანის გამოჩენამ ცოტა შეცვალა მატჩის მსვლელობა, მაგრამ მასპინძლებს საკმარისი დრო ნამდვილად არ ჰქონდათ შეხვედრაში გარდატეხის შესატანად.

შაბათს „პო ორტეზს“ შინ კარგი შანსი აქვს, პლეი ოფების აღდგენის შემდეგ მეექვსედ გახდეს საფრანგეთის ჩემპიონი.

**გაგი გურული**

## იტალია

### პლეი ოფი

ფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| კინდერი | 3 |
| ფორტიტუდო | 0 |

**კინდერი 83:79 ფორტიტუდო**

**კინდერი: ჯინობილი (10), გრიფიტი (21), რიგოდო (6), იარიჩი (18), ფროზინი (2), აბიო (15), სმოდიში (8), ანდერსენი (3), ბონორა**

**ფორტიტუდო: მაიერსი (33), ფუჩკა (21), გილი (10), მენეგინი, ჟუკაუსკასი (2), გალანდა (2), ბოუი (6), ბაზილე (5), დე პოლი, პილუტი**




კინდერელი მარკო იარიჩი იტალიის ჩემპიონის თასით

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიჭსა და ჩემპიონობას შორის გადებული ხიდი

## იკითხეთ წიგნი — ურჩევს შეგირდებს ძენ მასტერი

**1998 წლის** ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ფილ ჯეკსონი გამოცხადდა საგანგებო პრესკონფერენციაზე და თქვა: „მე წავედი“. შემდეგ მან დატოვა დარბაზი, მოახტა შავ-წითელ „ჰარლი-დევიდსონს“ და „ჩიკაგო ბულზს“ გაშორდა. იმ ჯაჭვური რეაქციის შემდეგ, რაც „ძენ მასტერის“ წასვლამ გამოიწვია, „ჩიკაგო ბულზს“ სახელის და წარსულის გარდა არაფერი დარჩა. ჯეკსონის გარდა რჩევას ვერავისგან მივიღებო, თქვა მაიკლ ჯორდანმა და რამდენიმე თვეში სულ წავიდა კალათბურთიდან. თავისი გზა მონახა სკოტი პიპენმა. კლუბმა ვერ შეინარჩუნა დენის როდმანი. გუნდი, რომელიც ათეული წლის განმავლობაში ყველას თავზარს სცემდა, თვალის დახამხამებაში დაინგრა, თან ისე, რომ აგერ სამი წელია, ამაოდ ცდილობს ნანგრევებიდან ამოსვლას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფილ ჯეკსონს ბავშვებიც კი იცნობენ და ქვეყნის გარეთაც შორს გავარდნია სახელი. სხვაგვარად, როგორ იქნება: „ძენ მასტერი“ ნბა-ს იქნებ ყველა დროის ყველაზე წარმატებული მწვრთნელიც იყოს. ამ რამდენიმე დღის წინ ჯეკსონმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ ზედიზედ მეორედ გახადა ჩემპიონი, 1991-98 წლებში კი „ჩიკაგო ბულზი“ ექვსჯერ აჩემპიონა. ნბა-ს მწვრთნელთა შორის მხოლოდ 50-60-იანი წლების „ბოსტონის“ თავკაცი, დიდი რედ აუერბახია, რომელიც ჯესკონზე მეტი, ცხრა ტიტულით მოიწონებს თავს. ჯეკსონი კიდევ სამი წელი იქნება „ლეიკერსის“ თავკაცი და ვინაიდან ის მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძვის, აუერბახის რეკორდს იქნებ ორიოდ წლით თუ უწერია არსებობა. ამას გარდა, ამ რვა ტიტულს კალათბურთელობისას „ნიუ იორკ ნიქსის“ მაისურით მოპოვებულ ორ ჩემპიონობასაც თუ დავუმატებთ, ჯეკსონს ყულაბაში ათი მოუგროვდება.

ფილ ჯეკსონს ოკეანგაღმა იღბლიან კაცად იცნობენ. იქ მას ბევრი მოშურნე ჰყავს, რომლებიც „ჩიკაგოს“ ექვს ჩემპიონობას მაიკლ ჯორდანის პირად მონაგრად ჩათვლიან და იმასაც იტყვიან, შაკილ ონილის გარეშე „ლეიკერსი“ პლეი ოფის მეორე წრეს ვერ გასცდებოდაო და ეს საკმარისი იქნება, ჯეკსონი ისეთ კაცად ჩათვალონ, რომელსაც გაუმართლა და საჭირო დროს, საჭირო ადგილას აღმოჩნდა. ეს, ცხადია, სისულელეა და ამას საქმეში ჩაუხედავი კაცი თუ იტყვის. ჯეკსონის დიდ მწვრთნელობას სპეციალისტთა აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს. ისე კი, ამას არც სჭირდება დამტკიცება. ყველაფერი ისეც კარგად ჩანს.

პროცენტულად მას ვერავინ გაეჯიბრება, ჯეკსონი 11 წელია, მწვრთნელია და აქედან მხოლოდ სამ სეზონში მოეცარა ხელი. მას მოუგია თამაშების 74,1 პროცენტი (902-დან 668), რაც ნბა-ს ყველა დროის საუკეთესო შედეგია. აგრეთვე მას ბადალი არა ჰყავს პლეი ოფებშიც — 141 გამარჯვება და 50 მარცხი, ჯამში კი 73,8 პროცენტი. 141 საპლეიოფო გამარჯვებით იგი მეორე ადგილზეა და მხოლოდ 14-ით ჩამორჩება ამ მხრივ პირველადგილოსან პატ რაილის. რაც შეეხება პირად ტიტულებს, ჯეკსონი 1995-96 წლების სეზონის საუკეთესო მწვრთნელია, მაგრამ ბევრის აზრით, მას მინიმუმ კიდევ ორი ამგვარი ტიტული უნდა ჰქონდეს.

ტიტულები და მიღწევები, ცხადია, ბევრზე მეტყველებს, მაგრამ რას წარმოადგენს ფილ ჯეკსონი რეალურად, ამის გასაგებად მის სამზარეულოში შეხედვაა საჭირო. იგი შესანიშნავი ფსიქოლოგია, იცის, რა უნდა და ამაზე არანაკლებ კარგად მოეხსენება, რა უნდათ მის შეგირდებს, გუნდის გენერალურ მენეჯერს, პრეზიდენტს, მდივანს და პირსახოცის მიმწოდებელს. დიდი თეორეტიკოსი არასდროს ყოფილა და არც აქვს ამის პრეტენზია, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი გუნდები ერთი თავით მაღლა დგანან სხვებზე. ჯეკსონის უმთავრესი პროფესიული ღირსებაც ის გახლავთ, რომ მისი შეგირდები სწორედ მის ხელში აღწევენ შესაძლებლობების მაქსიმუმს. სკოტი პიპენი, შაკილ ონილი, კობი ბრაიანტი და, რაღა თქმა უნდა, მაიკლ ჯორდანი მის ხელში გახდნენ საუკეთესონი. ფილ ჯეკსონი ნიჭიერ ბიჭებსა და ჩემპიონობას შორის გადებული ხიდია.

„მე არ ვეკუთვნი მათ რიცხვს, რომლებიც თამაშის წინ შეგირდთა წინაშე მოხსენებით გამოდიან და ქადაგებენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის ამ თამაშის მოგება. კალათბურთელებმა ჩემზე ცუდად არ იციან მატჩის მნიშვნელობა და მათ თავში დამატებით მოტორის აგრუხუნება საჭირო არაა. აქცენტის გაკეთება კარგია არა მატჩის მნიშვნელობაზე, არამედ თავად მატჩზე, ძირითად სათამაშო ასპექტებზე. კალათბურთელს უნდა გამარჯვება, ვფიქრობ, უკეთესია ამაში დაეხმარო, ვიდრე მოუწოდო“ — ამბობს ფილ ჯეკსონი. შეგირდებს კარგად ესმით მისი, ისინი გადიან მოედანზე და იგებენ საკუთარი თავისთვის, ამ გამარჯვებათა უკან კი „ძენ მასტერი“ დგას და ჭადარა წვერ-ულვაშში ეღიმება.

„ჩვენ ზედიზედ ვხდებოდით ჩემპიონები — ერთხელ, მეორედ მესამედ. დავიჯერეთ, რომ უძლიერესები ვართ და ვთვლიდით, ასეც უნდა ყოფილიყო და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რატომაც ვიყავი ასე ძლიერი, როდესაც გვერდით აღარ მყავდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ იგი დიდი მწვრთნელია და უიმისოდ ვერაფერსაც ვერ მოვიგებდით“ — ამბობს „ლეიკერსის“ თავდამსხმელი ჰორას გრანტი, რომელიც ჯეკსონის ხელში „ჩიკაგოში“ სამჯერ, 1991-93 წლებში გაჩემპიონდა და სხვა გუნდებში ნამოგზაურებმა და 2000 წელს ჯეკსონთან „ლეიკერსში“ დაბრუნებულმა ამ მონაგარს ერთიც დაამატა.

ჯეკსონი პროფესიონალი მწვრთნელია და ყველა ხერხს მიმართავს, რათა ნიჭიერი ბიჭებისგან კარგი კალათბურთელები დააყენოს, ხშირად მათ წიგნებსაც აძლევს ტვინის ასალესად. „ნბა-ს კალათბურთელთა სამოცი პროცენტი ზანგურ გეტოში დაბადებულ-გაზრდილი ბიჭები არიან, რომელთაც ცხოვრებაში ბევრი არაფერი უნახავთ და უცებ ისინი ნბა-ს ორომტრიალში ხვდებიან, იღებენ მილიონებს, ხოლო აგენტები მათ ურჩევენ, ეს იოლი ფული დაუნანებლად დახარჯონ. ნბა სულ სხვა სამყაროა, სადაც 20 წლის ბიჭი იოლად დაიკარგება და საკუთარი თავის საპოვნელად ზოგჯერ ხუთი-ექვსი წელია საჭირო. ნათელი, გახსნილი გონებით იოლად იკვლევ გზას ამ სივრცეში. წიგნი გეხმარება ამაში, ის შენს წინ ახალ ჰორიზონტებს ხსნის, შენს თვალთახედვას აფართოებს, კალათბურთელს პიროვნებად აყალიბებს“ — ასეთია ჯეკსონის ფილოსოფია. კალათბურთელის ხელში მიცემული წიგნიც მწვერვალისკენ მიმავალი კიბის ერთ-ერთი საფეხურია.

ჯეკსონს კალათბურთელობისასაც ჰქონია წარმატებები. 1970 და 1973 წლებში „ნიუ იორკის“ მაისურით ჩემპიონი გახდა, თუმც იგი არასდროს ყოფილა დიდი მოთამაშე. ჯეკსონი „ნიქსის“ მეექვსე კაცი გახლდათ და მკაცრი დაცვის მოტრფიალე რედ ჰოლცმანი მას „ეპიზოდურ როლებს“ აძლევდა დაცვაში. ჭკუა ჯეკსონს იმთავითვე უჭრიდა და „ნიქსში“ გატარებული 11 სეზონის შემდეგ, 1978 წელს „ნიუ ჯერსიში“ გადასულმა მთავარი მწვრთნელის ასისტენტობაც შეითავსა. ორი წლის შემდეგ კი თამაშსაც შეეშვა, თუმც კალათბურთიდან არ წასულა. ერთხანს იგი ქვედა ლიგაში, კბა-ში მუშაობდა, სადაც გარკვეული წარმატებების შემდეგ ნბა-ში „ჩიკაგოს“ მწვრთნელის დუგ კოლინზის ასისტენტად დაბრუნდა 1987 წელს.

ჯეკსონის მზე 1988 წლის 17 დეკემბერს ამოვიდა. იმ დღეს „ჩიკაგო“ რომელიღაც გუნდთან მატჩის დასაწყისშივე 14 ქულით აგებდა, გაშმაგებული კოლინზი მსაჯებმა თამაშიდან გააგდეს, ერთი მუჭა გულგატეხილ კალათბურთელებს კი ჯეკსონი გაუძღვა. „ჩიკაგომ“ ის თამაში მოიგო, ყმაწვილები — ჯორდანი, პიპენი, გრანტი და სხვები კი მიხვდნენ, რომ მათ წინაშე მომავალი მთავარი მწვრთნელი იდგა.

რამდენიმე თვეში კოლინზი დაითხოვეს და ალბათ თავად ხვდებით, გუნდი ვისაც ჩააბარეს. იმ ხანად მაიკლ ჯორდანი დაფრინავდა და მატჩში საშუალოდ 35 ქულას აგდებდა. ჯეკსონის ხელში ჯორდანის შედეგიანობამ რამდენადმე დაიკლო, რადგან ჰოლცმანის დაცვითი იდეებით გაჟღენთილი ფილი დაცვაში მეტ ყურადღებას ითხოვდა. სამაგიეროდ გახშირდა გამარჯვებები. ჯეკსონმა „მფრინავი“ ჯორდანი და ქალივით სუსტი პიპენი „დობერმანებად“ აქცია და მეტოქეებზე მიუშვა. პირველ ჯეკსონურ სეზონში „ჩიკაგო“ კონფერენციის ფინალში გავიდა. მომდევნო სეზონში კი, 1991 წელს, „ბულზმა“ ფინალში მეჯიქ ჯონსონის „ლეიკერსი“ დასცა და პირველი ჩემპიონობაც მოვიდა. „ხარებს“ კიდევ ორი წელი ვერავინ სჯობდა. ჯორდანი მართლა უძლიერეს კალათბურთელად იქცა, პიპენი მის მარჯვენა ხელად, კაცად, რომელსაც ხუთივე ამპლუაში შეუძლია თამაში.

1993 წელს ჯორდანი ორი წლით გამოეთხოვა კალათბურთს და „ჩიკაგოც“ ორი წლით შვებულებაში გავიდა. ამას კვლავ სამი დიდებული სეზონი და ისევ სამი ჩემპიონობა მოჰყვა და აი, 1998 წელს დიადი „ჩიკაგო“ დაიშალა. ამ კლუბიდან ჯეკსონის წასვლა სკანდალური გამოდგა. მას და კლუბის გენერალურ მენეჯერ ჯერი კრაუზეს „ხარების“ მომავალთან დაკავშირებით განსხვავებული გეგმები ჰქონდათ. ჯეკსონს არ სურდა გუნდიდან თავისუფალ აგენტთა — პიპენის, როდმანის, ლონგლის და სხვათა გაშვება და მას და კრაუზეს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. საქმე ყველაფრის საჯაროდ გარჩევამდე და ლამის ლანძღვა-გინებამდეც კი მივიდა და ჯეკსონმა წასვლა არჩია, „ჩიკაგო“ კი ახლაც ჯეკსონისდროინდელი გუნდის ნამუსრევით იკვებება.

ფილ ჯეკსონი ამბობდა, რომ საბოლოოდ წავიდა კალათბურთიდან. იგი მონტანას შტატში საკუთარ რანჩოში ცხოვრობდა და ველური ბუნების ცქერით ტკბებოდა, იშვიათად თავის ძმაკაცს და „ნიუ იორკში“ თანაგუნდელს, ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატ ბილ ბრედლის საარჩევნო კამპანიაში მხარს უჭერდა და აი, 1999 წელს იგი „ლეიკერსში“ გამოჩნდა.

„ძენ მასტერის“ სამწვრთნელო კარიერის ლეიკერსული ეპოქა ბევრით ჰგავს ჩიკაგოურს. ნიჭიერი ვარსკვლავები — შაკილ ონილი და კობი ბრაიანტი უძლიერესებად იქცნენ. მართალია, ეს დუეტი ჯორდან-პიპენის წყვილივით მოქნილი და შეხმატკბილებული ვერაა, მაგრამ ორი წელია, „ლეიკერსი“ ყველას ჩაგრავს და ლოს ანჯელესელთა აზრით, მომავალშიც დაჩაგრავს, თუ „ძენ მასტერი“ ეყოლება. ფილ ჯეკსონი 55 წლისაა და სხვათა გულის გასახეთქად კიდევ სამ წელს დარჩება „ლეიკერსში“.

და არ გაინტერესებთ, რატომ ჰქვია ფილ ჯეკსონს „ძენ მასტერი“? პასუხი მეტად მარტივია: იგი ბუდისტია და ამ რელიგიის ერთ-ერთი მიმდინარეობის, ძენის ფილოსოფიის მიმდევარია.

**ირაკლი ფირაშვილი**



### ფილ ჯეკსონი

- დაიბადა 1945 წლის 17 სექტემბერს
- 1967 წლის დრაფტში აიყვანა „ნიუ იორკმა“
- 1970 და 1973 წლებში „ნიუ იორკის“ რიგებში გახდა ნბა-ს ჩემპიონი
- 1980 წელს თავი დაანება კალათბურთს
- 1989 წელს გახდა „ჩიკაგოს“ მთავარი მწვრთნელი, რომელსაც 1998 წლამდე წვრთნიდა
- 1991-93, 1996-98 წლებში „ჩიკაგო“ ექვსჯერ გააჩემპიონა
- 1999 წელს სათავეში ჩაუდგა „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ და იმავე და მომდევნო სეზონში ორჯერ მოაპოვებინა ჩემპიონობა
- 1995-96 წლების სეზონში „ჩიკაგომ“ მისი თავკაცობით 72 თამაში მოიგო და ნბა-ს ყველა დროის რეკორდი დაამყარა
- მწვრთნელის რანგში ჩატარებული 902 თამაშიდან მოგებული აქვს 668, პლეი ოფში 191-დან 50
- 1995-96 წლების სეზონის საუკეთესო მწვრთნელი



ფილ ჯეკსონი კობი ბრაიანტს, შაკილ ონილს და რიკ ფოქსს მოძღვრავს

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## კროკო

### იტალია. სერია A. პლეი-აუტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 21 ივნისი | | | |
| 23.00 | 001 | ვერონა-რეჯინა | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| | | 24 ივნისი | | | |
| 21.00 | 002 | რეჯინა-ვერონა | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### პოლონეთი. პლეი-ოფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 24 ივნისი | | | |
| 19.30 | 006 | სტომილი-პოლკოვიცე | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### რუსეთი. მე-14 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 24 ივნისი | | | |
| 16.00 | 007 | ჩერნომორეცი-ზენიტი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 16.00 | 008 | როტორი-ანჟი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 16.00 | 009 | როსტსელმაში-ალანია | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 16.00 | 010 | ზილ-ტორპედო | 4,0 | 2,9 | 1,75 |
| 16.00 | 011 | სატურნი-კრილია | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 16.00 | 012 | ფაკელი-დინამო | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 16.00 | 013 | ცსკა-სოკოლი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| | | 25 ივნისი | | | |
| 16.00 | 014 | სპარტაკი-ლოკომოტივი | 1,7 | 3,0 | 4,4 |

### შვედეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 21 ივნისი | | | |
| 22.00 | 017 | იორგრიტე-ელფსბორგი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | | 24 ივნისი | | | |
| 20.00 | 018 | ნორჩიოპინგი-ჰეკენი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| | | 25 ივნისი | | | |
| 22.00 | 019 | ტრელებორგი-ჰამარბი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 22.00 | 020 | იურგორდენი-გიოტებორგი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 22.00 | 021 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### ნორვეგია. მე-12 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 22 ივნისი | | | |
| 22.00 | 022 | ბრანი-მოლდე | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| | | 24 ივნისი | | | |
| 21.00 | 023 | ლილესტრიომი-მოსი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 21.00 | 024 | ლინი-ტრომსიო | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 21.00 | 025 | ოდ გრენლანდი-ბრინი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 026 | სოგნდალი-სტრიომგოდსეტი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 027 | ვიკინგი-ბოდიო გლიმტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.05 | 028 | სტაბეკი-რუსენბორგი | 3,4 | 3,2 | 1,95 |

### ფინეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 25 ივნისი | | | |
| 20.30 | 031 | ჰაკა-ჰიკ | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 032 | ინტერი-ტამპერე | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 033 | როვანიემი-ატლანტისი | 3,3 | 3,2 | 2,0 |

### ესპანეთი. თასის 1/2 ფინალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 21 ივნისი | | | |
| 00.30 | 035 | სელტა-ბარსელონა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | 23 ივნისი | | | |
| 00.30 | 036 | სარაგოსა-ატლეტიკო | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | 24 ივნისი | | | |
| 00.30 | 037 | ბარსელონა-სელტა | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### ინტერტოტო. I ეტაპი. II მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 23 ივნისი | | | |
| 18.00 | 502 | აიკ-კარმართენი | 1,05 | 8,0 | 16,0 |
| 19.00 | 503 | კლიფტონვილი-ტილიგული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 504 | ტალინი-ჰაპოელი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 505 | ლიეპაია-კორკი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 506 | გლორია-ჯაზი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 507 | ჰიბერნიანსი-ზაგლებე | 6,5 | 4,0 | 1,4 |
| 20.00 | 508 | სლავენი-ანორთოსისი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.30 | 509 | ბილისი-უნივერსიტატია | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 20.30 | 510 | ცელიე-ორჰუსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.30 | 511 | სარტიდი-დანდი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 22.30 | 512 | ლოზანა-სენტ ჯულია | 1,02 | 9,0 | 18,0 |
| 23.00 | 513 | ლოკერენი-ტოფტირი | 1,05 | 8,0 | 16,0 |
| | | 24 ივნისი | | | |
| 17.00 | 514 | შირაქი-ტატაბანია | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 18.00 | 515 | ვილიაში-გრინდავიკი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.30 | 516 | სპარტაკი (ვარნა)-გროცლინი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 20.00 | 517 | პობედა-ზაგრები | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 20.00 | 518 | პეტრჟალკა-ეკრანასი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.00 | 519 | ჰობშაიდი-დინამო (მინსკი) | 6,5 | 4,0 | 1,35 |
| 20.00 | 520 | რიდი-ვიტ ჯორჯია | ანგარიში – 5,0 | | |
| 21.00 | 521 | დენიზლი-ჩელიკი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

### მსოფლიოს ჩემპიონატი. ჭაბუკები (არგენტინაში)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 21 ივნისი | | | |
| 22.00 | 531 | ავსტრალია-ჩეხეთი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 532 | კოსტა რიკა-ეთიოპია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 533 | საფრანგეთი-პარაგვაი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 00.45 | 534 | იაპონია-ანგოლა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 00.45 | 535 | ჰოლანდია-ეკვადორი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 00.45 | 536 | ირანი-განა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | 23 ივნისი | | | |
| 22.00 | 537 | ფინეთი-ეგვიპტე | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 538 | არგენტინა-იამაიკა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 539 | გერმანია-ერაყი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 540 | ბრაზილია-კანადა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 541 | აშშ-უკრაინა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 542 | ჩინეთი-ჩილე | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | 24 ივნისი | | | |
| 22.00 | 543 | ანგოლა-ავსტრალია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 544 | ჩეხეთი-იაპონია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 545 | ეკვადორი-კოსტა რიკა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 546 | ეთიოპია-ჰოლანდია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 547 | განა-საფრანგეთი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 548 | პარაგვაი-ირანი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### ევროპის ჩემპიონატი. ქალები (გერმანიაში)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 23 ივნისი | | | |
| 17.15 | 549 | გერმანია-შვედეთი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 24 ივნისი | | | |
| 20.30 | 550 | რუსეთი-ინგლისი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 25 ივნისი | | | |
| 20.30 | 551 | იტალია-დანია | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 22.45 | 552 | ნორვეგია-საფრანგეთი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)
ქობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106
მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**დღეს, 21 ივნისს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცვლილია არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ლაბაძისთვის უიმბლდონი ორივეგან დასრულდა

**სამწუხაროდ**, დიდი სლემის ტურნირის ძირითად ბადეში ქართველს ვერც წლევანდელ უიმბლდონზე ვიხილავთ. 20 წლის თბილისელმა ირაკლი ლაბაძემ სეზონის მესამე „მეიჯორის" შესარჩევი ტურნირის მეორე წრე ვერც ამჯერად დაძლია.

„როუჰემპტონის" საჩოგბურთო კლუბის მწვანე კორტებზე მოასპარეზე ერთადერთ ქართველს ამ ეტაპისთვის ვაჟებში შემორჩენილმა ასევე ერთადერთმა მასპინძელმა — ლუკ მილიგანმა აჯობა. 24 წლის მილიგანი, როგორც გუშინაც მოგახსენეთ, ამჟამად კლასიფიკაციით ოდენ 524-ეა, მაგრამ ბალახზე თამაში დიახაც რომ ეხერხება და ეს ჩვენებურთან შეხვედრაშიც დაამტკიცა.

ინგლისელმა ლაბაძე პირველ ხელში აშკარად დაჩაგრა და მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე ანგარიშის გათანაბრება მოახერხა, საბოლოოდ გამარჯვებული მაინც მილიგანი დარჩა — 6:1, 6:7 (5:7), 6:4. „წესით, ორ სეტში უნდა მომეგო, რადგან ტაი-ბრეიკზე 4:2 ვიყავი წინ" — აღნიშნა ფრიად კმაყოფილმა მასპინძელმა.

გუშინ ლაბაძე წყვილების შესარჩევ ტურნირსაც გამოეთიშა. მუდმივ პარტნიორ გეორგ ბასტლთან ერთად მოთამაშე ქართველმა ამერიკელებთან, ნათან ჰილთან და ჯორდან კერთან წააგო — 7:6 (7:2), 4:6, 4:6.

**ავთანდილ სვანიძე**



# შავზღვაოსანთა ფესტივალი



ფესტივალის მონაწილეებს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილიც მიესალმა

**ბათუმში** დაიწყო შავი ზღვის ქვეყნების საჭადრაკო ასოციაციის ფესტივალი, რომლის პროგრამაც ერთობ ვრცელი და მრავალფეროვანია.

თავდაპირველად 8, 10, 12, 14 და 16 წლის გოგო-ბიჭები მოსინჯავენ ძალებს და თავ-თავიანთ ასაკობრივ ჯგუფებში რეგიონის უძლიერესებს გამოავლენენ. აქ ასპარეზობენ ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და თურქი მოჭადრაკეები.

უმცროსები თამაშს 25 ივნისს მორჩებიან, ხოლო მეორე დღიდან სარბიელი უფროსებს დაეთმობათ: გაიმართება შავი ზღვის ქვეყნების ღია ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა შორის. ფიდეს გადაწყვეტილებით, ვაჟთა ტურნირის გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს მიიღებს.

ფესტივალის პროგრამით აგრეთვე დაგეგმილია ტურნირები სწრაფ ჭადრაკში, ბლიცტურნირი, ბოლოს კი შოუმატჩები გაიმართება, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ დიდოსტატები ნონა გაფრინდაშვილი და ზურაბ აზმაიფარაშვილი.



ევროპის ჩემპიონატი

# ბერძნებმა იზარმაცეს და მოიგეს

## ჩომახიძე ფორმაში ვერაა

**წყალბურთელთა** ევროპის ჩემპიონატზე მეოთხედფინალისტები გამოვლინდნენ. ორ ქვეჯგუფში შემდგომ ეტაპზე გასული ოთხ-ოთხი საუკეთესო გუნდი ამჯერად ნახევარფინალებისთვის იბრძოლებს.

საკვალიფიკაციო მატჩების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე უკეთ სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოსნები — იუგოსლავიელები გაისარჯნენ. მათ ხუთიდან ხუთი შეხვედრა მოიგეს და „ა" ჯგუფის გამარჯვებულნიც გახდნენ. არადა, შეიძლებოდა, ბოლო შეხვედრაში მათ მარცხიც ეწვნიათ. იტალიელებთან დუელში ისინი მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ, აპენინელთა სკოლაც ხომ ერთ-ერთი უძლიერესია. მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, რაზეც საბოლოო ანგარიშიც მეტყველებს, 9:8 იუგოსლავიელთა სასარგებლოდ.

სხვათა შორის, გადამწყვეტი ბურთი „სკუადრა ადურას" კარში მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე შევარდა. ახლა იუგოსლავიელებს მეოთხედფინალში სლოვაკებთან მოუწევთ ჭიდილი, იტალიელები კი ბერძნებთან გაარკვევენ ურთიერთობას.

იმავე ქვეჯგუფში მეორე ადგილზე მასპინძელთა ოლიმპიურ ჩემპიონთა გუნდი გავიდა. მადიარები ბოლო შეხვედრაში ჰოლანდიელებს შეხვდნენ. იმ დღეს მასპინძელთა გამარჯვება ყველაზე მეტად რუმინეთს სურდა. ესპანელებთან მარცხის გამო რუმინელთა ბედი მასპინძელთა ხელში აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ თუ უნგრეთი ჰოლანდიას ექვსი ან მეტი ბურთით მოუგებდა, მაშინ რუმინელები ფუკუოკას მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მიიღებდნენ. თუ ეს ასე არ მოხდებოდა, იაპონიაში ჰოლანდიის ნაკრები გაემგზავრებოდა. უნგრეთმა ჰოლანდია მხოლოდ სამი ბურთის უპირატესობით დაამარცხა (10:7), ასე რომ, რუმინეთი თამაშგარე დარჩა, ჰოლანდია კი უკვე იაპონიაზე ფიქრობს. არადა, პირველი პერიოდი მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა, ჰოლანდიელებმა, შეიძლება ითქვას, უნგრელთა მსოფლიოში უძლიერესი დაცვა გაარღვიეს — ოთხ გაშვებულ ბურთს მასპინძლებმა მხოლოდ ორით უპასუხეს. თუმც მეორე და მესამე პერიოდებში მათ მატჩი თავიანთ სასარგებლოდ შეაბრუნეს, ბოლო მეოთხედში კი პექრობა თანაბრად მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, მადიართა გამარჯვება გარდაუვალი იყო. ამაში გულშემატკივრებიც დარწმუნებულნი იყვნენ.

„ბ" ჯგუფში პირველობა საბერძნეთმა მოიპოვა. ელინები ბოლო შეხვედრაში აუტსაიდერ ფრანგებს შეხვდნენ. თავდაპირველად ბერძნები დაწინაურდნენ. პირველი პერიოდის ბოლოს ფრანგებმა ანგარიში გაათანაბრეს. მეორე და მესამე პერიოდებში ბერძნებმა გაიმარჯვეს — შესაბამისად 2:1, 5:2, ბოლო მეოთხედში კი ფრანგებმაც გამოიღეს ხელი (5:2), თუმცა ეს ბერძენთა სიზარმაცის ბრალი უფრო იყო. ბოლო შვიდ წუთში ელინებს ცურვა აღარ უნდოდათ.

რევაზ ჩომახიძის რუსეთის ნაკრებმა მეხუთე მატჩში სლოვაკები სძლიეს — 12:8 და მესამე ადგილი დაიკავა ქვეჯგუფში. მეოთხედფინალში, სიდნეის ოლიმპიადის ფინალის დარად, ერთმანეთის პირისპირ უნგრეთი და რუსეთი წარსდგებიან. ვნახოთ, თუ შეძლებენ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები რევანშის აღებას. ისე, ოლიმპიადისგან განსხვავებით, ჩვენი თანამემამულე აშკარად არაა ფორმაში. თუ სიდნეიში მეტოქეთა კარს ხშირად ლაშქრავდა, ახლა ოთხ მატჩში მხოლოდ სამი ბურთის შეგდება მოახერხა.

**გიგა გურასაშვილი**

**ვაჟები. 19 ივნისი**

**„ა" ჯგუფი**

ესპანეთი 6:5 რუმინეთი

უნგრეთი 10:7 ჰოლანდია

იუგოსლავია 9:8 იტალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 5 | 5 | 0 | 0 | 47:32 | 10 |
| უნგრეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 44:30 | 8 |
| ესპანეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 30:28 | 6 |
| იტალია | 5 | 2 | 0 | 3 | 39:35 | 4 |
| ჰოლანდია | 5 | 0 | 1 | 4 | 24:40 | 1 |
| რუმინეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 25:44 | 1 |

**„ბ" ჯგუფი**

რუსეთი 12:8 სლოვაკეთი

საბერძნეთი 10:9 საფრანგეთი

ხორვატია 5:5 გერმანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 48:35 | 9 |
| ხორვატია | 5 | 2 | 2 | 1 | 41:31 | 6 |
| რუსეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 47:36 | 6 |
| სლოვაკეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 48:52 | 5 |
| გერმანია | 5 | 1 | 2 | 2 | 35:33 | 4 |
| საფრანგეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 27:59 | 0 |

**მეოთხედფინალი**

21 ივნისი

ხორვატია — ესპანეთი

უნგრეთი — რუსეთი

იუგოსლავია — სლოვაკეთი

საბერძნეთი — იტალია

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ტაი-ბრეიკი

# მარტინა პროკურორს ჩაეშსკვნა

„**ტაი-ბრეიკის**" ერთი გამოშვებაც არ გავა, ქალებში მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი რომ არ მოვიხსენიოთ. გასულ კვირაში 20 წლის შვეიცარიელმა ყოფილი სპონსორის — „სერჯო ტაჩინისგან" უხარისხო წუღებით ფეხის დაზიანებისთვის 40 მილიონი დოლარი მოითხოვა, ამჯერად კი სკანდალში თავისი ახალი ბოიფრენდის ვინაობის გამო გაეხვია.



მარტინა ჰინგისს ახალი სატრფო ჰყავს

31 წლის კრის კალკინი სწორედ ის მაიამელი პროკურორია, რომელიც ჰინგისის შერეკილი ფანატის — დუბრავკო რაიჩევიჩის სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელი გახლდათ და თავისი სატრფოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად 46 წლის ხორვატი კიდევ ერთი წლით გისოსებს მიღმა დატოვა.

„ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ მას მერე დაიწყო, რაც პროცესი დასრულდა, არანაირი კანონი არ დაგვირღვევია და ამის შესახებ ჩემს ბოსსაც მაშინვე მოვახსენე — განუცხადა შაბათს „მაიამი ჰერალდს" კალკინმა — მარტინა არაჩვეულებრივი ქალბატონია, ასე ბედნიერი ცხოვრებაში არ ვყოფილვარ".

კალკინი უახლოეს დღეებში ჰინგისთან ციურიხში აპირებს სტუმრობას და, ალბათ, ჩოგბურთელს უიმბლდონის დროსაც ტრიბუნებიდან უგულშემატკივრებს. „მართალია, ისინი მართლაც მეგობრები არიან, მაგრამ რომანი მხოლოდ მას შემდეგ გააბეს, რაც სასამართლო გარჩევა დასრულდა" — დაადასტურა ფაქტი მარტინას პრესაგენტმა ლაიზა ჩეფიმ.

თავის მხრივ ახლა აპრილში გასამართლებულმა რაიჩევიჩმა წამოყო თავი და მისი „უსამართლო" სასჯელის აპელირებას გეგმავს. „ჩემი კლიენტი შეურაცხყოფილი და დამცირებულია მომხდარის გამო. პროკურორმა ის არა მარტო მაქსიმალური ვადით ჩასვა ციხეში, არამედ უკანალზე ამოსცხო და მისი სასიყვარულო ინტერესიც წაართვა" — განაცხადა საზღვაო ინჟინერის ადვოკატმა ფრენკ აბრამსმა სამშაბათს. აბრამსი ჰინგისსა და კალკინს შორის სატელეფონო საუბრების ჩანაწერებს ითხოვს და ტკბილი წყვილის გარდა კალკინის ბოსის, კეტრინ ფერნანდეს-რენდლის დაკითხვას აპირებს.

შეგახსენებთ, რომ რაიჩევიჩი 2000 წლის მარტიდან მოყოლებული ჰინგისისთვის სასიყვარულო წერილებისა და ყვავილების გაგზავნის, ტელეფონით რეკვისა და ტურნირებზე დევნის გამო იმყოფება ციხეში.

ძირითადად ჩოგბურთელებსა და ჰოკეისტებზე დაგეშილი შვეიცარიელისთვის არასპორტული რომანი ახალი ხილია. რამდენიმე კვირის წინ ინგლისურ პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ჰინგისი ჩიოდა, „ნამდვილი, ძლიერი მამაკაცის" პოვნა ძალიან ძნელია და მამაც კანონის დამცველში, ალბათ, სწორედ ასეთი თვისებები აღმოაჩინა.

# უიმბლდონი შვებულებად

**მსოფლიოს** ყოფილ პირველ ჩოგან მარსელო რიოსს 1998 წლიდან მოყოლებული იმდენი ტრავმა მიუღია, ბარე ათ ჩოგბურთელს მთელი კარიერის განმავლობაში ეყოფოდა. შარშან საზარდულის მძიმე ოპერაციის შემდეგ კიკინიან ჩილელს მთელი წელი დასჭირდა ბოლომდე გამოსაჯანმრთელებლად, რამდენიმე დღის წინ კი კიდევ ერთხელ მოუხდა ქირურგებთან სტუმრობა.

როლან გაროსის შემდეგ შინ, ჩილეში დაბრუნებულმა რიოსმა პარასკევს ტრენაჟორებზე ხტუნვისას კოჭი გადაიბრუნა, მყესი გაიწყვიტა და ორშაბათს ოპერაციაც გაუკეთეს. „ტრავმის სერიოზულობა პირველი ტესტების შემდეგ არ გამოვლინდა, ეს მხოლოდ მოგვიანებით, სკანერზე დაკვალიერებისას შეამჩნიეს. მარსელო, ალბათ, ორი-სამი თვე ველარ ითამაშებს" — განაცხადა ჩოგბურთელის მწვრთნელმა კარლოს კარდემილმა.

რიოსისთვის საჩოგბურთო სეზონი ხომ წარუმატებლად მიმდინარეობდა, მაისში მთვრალი დებოშისა და იტალიელ პოლიციელებთან შეხლა-შემოხლის გამო რომში ვირის აბანოში მიაბრძანეს და 10 ათასი დოლარით დააჯარიმეს. ერთადერთ ნათელ წერტილად ჩილელი ვარსკვლავისთვის ის რჩება, რომ ივლისის დასაწყისში მისი 18 წლის მეუღლე პირმშოს — ვაჟიშვილს ელოდება.

ძლიერის სქესის ქომაგებისა და ბულვარული პრესის ვეშაპების სამწუხაროდ, ვერ იასპარეზებს უიმბლდონზე ანა კურნიკოვაც. 20 წლის რუს სექსსიმბოლოს თებერვლის ბოლოს გაბზარული ფეხის ძვალი ჯერაც ვერ მოურჩენია.

ქვემოთ გთავაზობთ იმ დანარჩენ მოთამაშეების სრულ სიას, ვინც „ოლ ინგლენდ კლაბში" ვერ ან არ ითამაშებენ.

ვაჟები: გუსტავო კუერტენი (ფეხის ტრავმა); ალექს კორეჩა (ფეხის ტრავმა); მარკ ფილიპუსისი (მუხლის ოპერაცია); რიჩარდ კრაიჩეკი (იდაყვის ოპერაცია); არნო დი პასკუალე (ზურგის ტრავმა); ალექსანდრ პოპი (ვირუსი); ალბერტ კოსტა (ალერგია ბალახზე).

ქალები: მონიკა სელეში (ფეხის ტრავმა); მარი პირსი (ზურგის ტრავმა).

# ლაზარეთებს შორის

**1999 წლის** უიმბლდონის ჩემპიონი წყვილებში, ამერიკელი კორინა მორარიუ გასული კვირის ბოლოს საავადმყოფოდან გამოწერეს. 23 წლის ამერიკელი მაიამის „ჯექსონ მემორიალ ჰოსპიტალში" ლეიკემიის იშვიათ და მძიმე ფორმას მკურნალობდა.

„კორინა ოპტიმისტურადაა განწყობილი და საოცრად აღელვებულია იმ თბილი გამოხმაურების გამო, რაც უამრავი ადამიანისგან მიიღო — განაცხადა ჩოგბურთელის აგენტმა დევიდ ეჯისმა — საფრთხისთვის მას ჯერაც არ დაუღწევია თავი, მაგრამ მკურნალობამ გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო".

როლან გაროსზე გამარჯვების შემდეგ ჯენიფერ კაპრიატიმ დაჯილდოების ცერემონიალზე წარმატება მორარიუს მიუძღვნა და მას მალე გამოჯანმრთელება უსურვა, მუდმივი მეწყვილე ლინდსი დევენპორტი კი რამდენიმე დღის მანძილზე საავადმყოფოში ადგა თავს მეგობარს.

მორარიუ, რომელიც შარშან რამდენიმე კვირის მანძილზე მსოფლიოს პირველი ჩოგანიც გახლდათ წყვილებში, გარკვეული ხნით შინ იმკურნალებს, თუმცა მოგვიანებით ქიმიოთერაპიის კურსისთვის საავადმყოფოში მოუხდება დაბრუნება. თავისივე მწვრთნელ დევიდ ტურსინოვიჩზე გათხოვილი ჩოგბურთელის მამაც და ძმაც ექიმები არიან.




ანიერ გარსიას პატარა გამარჯვებებიც დიდად უხარია

# მაშრიყ-მაღრიბობა პრაღაში

**პრაღაში** იოზეფ ოდლოზილის მემორიალი გაიმართა. ტოკიოს ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი 1993 წელს აღესრულა. მას შემდეგ ჩეხები ყოველ წელიწადს მიაგებენ პატივს მძლეოსნის ხსოვნას და წლეულს ეს ყველაზე გვარიანად გამოუვიდათ, რადგან 10 ათასმა მაყურებელმა ისეთი პატივცემული სპორტული გვამები იხილა, როგორებიც ოლიმპიური ჩემპიონები ანიერ გარსია და ერკი ნოოლი გახლავთ. კუბელმა მოთარჯრბენემ ბოლო ტურნირებში რაც მოსახვეჭი იყო, ყველაფერი მოიხვეჭა და არც პრაღაში დარჩენილა ხელცარიელი. თარჯებზე ხტუნვით 110 მეტრის გალევისას გაირკვა, რომ გარსიამ ერთხელაც გაიმარჯვა, ხოლო მსოფლიოსა და სამხრეთ აფრიკის რეკორდსმენები, კოლინ ჯექსონი და შონ ბაუნსი, მხოლოდ მეორე ადგილს ეპოტინებოდნენ. სამხრეთაფრიკელმა ამერიკელს წამის სამი მეასედით აჯობა, ხოლო ნახსენებმა გარსიამ შედეგიც ფრიად სიმპათიური აჩვენა — 13,35 წამი 1,3 მეტრი წამში სიჩქარით მქროლავი პირქარისას.

პრაღის სტადიონზე ავდრის მიუხედავად მრავლად მისული მაყურებლები იმ დღეს რომან სერბლეს გამოჩენას ითხოვდნენ, მაგრამ ათჭიდში პირველ ცხრაათასიანელს თეძო დაუშავებია და რა უაზრო რისკია ჩვეულებრივ ტურნირზე ტრავმის გართულება, როცა ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატამდე თვეზე ცოტა მეტიღა დარჩა... ამიტომ სერბლემ ბოდიში მოიხადა და ედმონტონში გამოსვლის და ჩეხეთის განდიდების მტკიცე პირობა დადო. მის არყოფნაში ჩეხები მეორე დიდმა ათჭიდელმა, ტომაშ დვორაკმა გაახარა, რომელმაც სამი მთავარი კონკურენტი დაჩაგრა და მათში ერია ესტონელი ერკი ნოოლიც, სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი, ვისაც პრაღაში მეოთხე ადგილი ერგო.

ტურნირის მთავარ მოვლენად არაბთა ნაყოფიერ გარჯას მივიჩნევთ. უცნობმა მაროკოელმა მაღრიბელებმა 10 ათას მეტრზე პირწმინდად დაჯაბნეს 17 წლის იუნიორთა კენიელი მსოფლიო ჩემპიონი რობერტ კიპჩუმბა და მესამე ადგილზე დატოვეს. ისიც აღსანიშნავია, რომ არაბები სოლიდურ 27 წუთსა და 30 წამში ჩაეტივნენ, აბდერაჰიმ გუმრის დრო 27.26,01 იყო, იაუდ ღარიბისა — 27.29,51.

მაშრიყელებმა არაბულ ბედაურებს სპრინტში მიბაძეს, ოღონდ თუ საუდის არაბეთის მოქალაქე ალ ბიშიმ (ესეც იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონია) 400 მეტრი დამსახურებულად მოიგო, მის თვისტომ ჰადი ალ სომალის იღბალიც ფრიად დაეხმარა. 400-მეტრიან თარჯრბენში ბოლო თარჯამდე ლიდერობდა მელოდიურგვარიანი ჩეხი ირჟი მუზიკი და ის იყო, მაყურებელი ოვაციისთვის გაემზადა, რომ რუსმა რუსლან მაშჩენკომ თავისი თარჯი წააქცია. თარჯი მუზიკს მოხვდა, ისიც დაემხო და ალ სომალი ლაღად, თავისუფლად და მოწინავედ მიჭენდა ფინალურ ხაზამდე. ბედი მომეც და სანეხვეზე გადამაგდეო — სწორედ რომ ზედგამოჭრილია.

**დავით გულუა**


ყოველკვირეული
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ბინაზე მიტანით 1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი“




მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. მეშვიდე ეტაპი (აკროპოლისი)

# მაკრეიმ რეკორდი გაიმეორა

**შოტლანდიელმა** მრბოლმა კოლინ მაკრეიმ და შტურმანმა ნიკი გრისტმა წლევანდელი ჩემპიონატის ზედიზედ მესამე ეტაპი მოიგეს და სატურნირო ცხრილს სათავეშიც მოექცნენ. არადა, საწყისი ოთხი რბოლის შემდეგ მათ ერთი ქულაც კი არ ჰქონდათ.

ზედიზედ სამჯერ გამარჯვება, ცხადია, უიშვიათესი, გამორჩეული მიღწევაა. შარშან ერთი ასეთი შემთხვევაც არ მომხდარა. მაკრეის თითქმის 15-წლიან კარიერაში ეს 23-ე გამარჯვება გახლავთ და ამ მაჩვენებლით იგი რეკორდსმენებს — ფინელ იუჰა კანკუნენსა და ესპანელ კარლოს საინსს წამოეწია. ისიცაა აღსანიშნავი, რომ საბერძნეთის გზებზე კოლინმა მეოთხედ მიაღწია წარმატებას.

აკროპოლისის რალის მთელი დისტანცია 1634 კილომეტრი იყო, ხოლო გზის თითქმის მეოთხედი — 387,5 კმ ოც ჩქაროსნულ მონაკვეთზე განაწილდა.

წლეულს პირველად მოხდა, რომ სეზონის ყველაზე სტაბილურმა პილოტმა საინსმა ფინიშამდე ვერ მიაღწია. თანაც ეს უიღბლობა 39 წლის ესპანელს დამთავრებამდე სულ რაღაც რვა კილომეტრით ადრე შეემთხვა, როცა მის „ფორდს“ საწვავი გამოელია. ისიცაა სათქმელი, რომ ნორვეგიელი პეტერ სოლბერგი წლეულს პირველად შედგა პოდიუმზე, ხოლო ჩემპიონი, ფინელი მარკუს გრონჰოლმი უკვე მეექვსედ,ვადამდე გამოეთიშა ბრძოლას.

გუნდურ ჩათვლაში 60 ქულით ისევ „ფორდი“ (მაკრეი, საინსი) ლიდერობს, „მიცუბიში“ შვიდით ჩამორჩება.

მომდევნო, მერვე ეტაპი კენიაში 20-22 ივლისს გაიმართება.




კოლინ მაკრეიმ ზედიზედ მესამე ეტაპი მოიგო

| რბოლის შედეგები | |
|---|---|
| 1. კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) | 4 სთ. 19.01,9 |
| 2. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | ჩამორჩა 49,0 წმ |
| 3. ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) | 1.35,7 |
| 4. ტომი მაკინენი (ფინეთი, მიცუბიში) | 2.15,3 |
| 5. ფრანსუა დელაკური (საფრანგეთი, ფორდი) | 2.35,4 |
| 6. ფილიპ ბუგალსკი (საფრანგეთი, სიტროენი) | 4.00,2 |

**საერთო ჩათვლა**

1. კოლინ მაკრეი 30; 2. ტომი მაკინენი 30; 3. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) 26; 4. რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, სუბარუ) 15; 5. ჰარი როვანპერა 14; 6. ფრანსუა დელაკური 11; 7. დიდიე ორიოლი (საფრანგეთი, პეჟო) 10; 8. პეტერ სოლბერგი 9; 9. ფრედ ლუაქსი (ბელგია, მიცუბიში) 7; 10. ტომას რადსტრიომი (შვედეთი, მიცუბიში) და ჟილ პანიზი (საფრანგეთი, პეჟო) 6-6.

CART მეშვიდე ეტაპი. დეტროიტის (აშშ) დიდი პრიზი

# ჰელიო ქუჩის ბიჭია

**ამერიკელთა** საკულტო, ინდიანაპოლისის 500-მილიანი მარათონის წლევანდელმა გამარჯვებულმა ჰელიო კასტრონევეშმა კარტის სერიის მორიგ ეტაპზეც იყოჩაღა და დეტროიტის ქუჩებში რაც კი შესაძლებელი იყო, ყველაფერი მოიხვეჭა.

26 წლის ბრაზილიელმა ჯერ საკვალიფიკაციო შეჯიბრში აჯობა ყველას, მერე რბოლის სტარტიც ყველაზე ცოცხლად აიღო და თითქმის სამასკილომეტრიან დისტანციაზე ერთხელაც არ დაუთმია ლიდერობა. ასე რომ, მისი მონაგარი უმაღლესი, 22 ქულით შეფასდა. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ჰელიომ კარიერაში პირველი გამარჯვებაც შარშან სწორედ იქ იზეიმა, გამოდის, რომ დეტროიტის ტრასა მართლაც კასტრონევეშისა ყოფილა. სადღეისოდ იგი მხოლოდ ხუთი ქულითღა ჩამორჩება ჩემპიონატის ლიდერს კენი ბრაკს, რომელმაც ამჯერადაც საკმაოდ უხეიროდ იასპარეზა და სულ ოთხი ქულით შეივსო თავისი მარაგი. რბოლას ავარიებისა და მექანიკური დაზიანების გამო საკმაოდ ბევრი, ცამეტი მანქანა გამოაკლდა. ტრიუმფატორმა შვიდი მეათედი წამით მიასწრო ფინიშთან შოტლანდიელ დარიო ფრანკიტის, მესამე ადგილზე კი ექსფორმულელი, კარტის უხნესი პილოტი, 42 წლის რობერტო მორენო გავიდა.

ორიოდე სიტყვით გამარჯვებულზე. ჰელიო კასტრონევეში ბრაზილიის ქალაქ სანპაულუში დაიბადა. ამჟამად ცხოვრობს მაიამიში (აშშ, ფლორიდის შტატი). მეოთხე სეზონია კარტში ასპარეზობს — 65 რბოლიდან ხუთი მოიგო და 364 ქულა დააგროვა, რაც მე-11 შედეგია.

მორიგ, მერვე ეტაპს კვირას პორტლენდი (აშშ) უმასპინძლებს.



ჰელიო კასტრონევეში გამარჯვებამ ღობეზე აახტუნა

**რბოლის შედეგები**
**72 წრე — 272 კმ**

1. ჰელიო კასტრონევეში (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 1 სთ; 53.51,815 (143,4 კმ/სთ საშუალო სიჩქარე); 2. დარიო ფრანკიტი (შოტლანდია, რეინარდ-ჰონდა) ჩამორჩა 0,702 წამით; 3. რობერტო მორენო (ბრაზილია, რეინარდ-ტოიოტა) 2,891; 4. მაიკლ ანდრეტი (აშშ, რეინარდ-ჰონდა) 3,3386; 5. კრისტიან ფიტიპალდი (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 13,465; 6. ჟილ დე ფერანი (ბრაზილია, რეინარ-ჰონდა) 14,577; 7. კრისტიანო და მატა (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 15,084; 8. პატრიკ კარპენტიე (კანადა, რეინარდ-ფორდი) 15,829; 9. კენი ბრაკი (შვედეთი, ლოლა-ფორდი) 16,320; 10. მაურისიო გუჯელმინი (ბრაზილია, რეინარდ-ტოიოტა) 19,675; 11. მაქს პაპისი (იტალია, ლოლა-ფორდი) 20,055; 12. ადრიან ფერნანდესი (მექსიკა, რეინარდ-ჰონდა) 26,854

**საერთო ჩათვლა**

1. კენი ბრაკი 74 ქულა; 2. ჰელიო კასტრონევეში 69; 3. მაიკლ ანდრეტი 48; 4. კრისტიანო და მატა 46; 5. ჟილ დე ფერანი 44; 6. პოლ ტრეისი (კანადა, რეინარდ-ჰონდა) 40; 7. ჯიმი ვასერი (აშშ, რეინარდ-ტოიოტა) 40; 8. სკოტ დიქსონი (ახალი ზელანდია, რეინარდ-ტოიოტა) 38; 9. დარიო ფრანკიტი 37; 10. ტონი კანაანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 34



☎ (231) 7 17 58
იყიდება
ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.
ქუთაისში
ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიაოსთან"

ეროვნული ბიბლიოთეკა

THE SUN



# სარდინიის მზე

ფეხბურთელთათვის ნაღდი შვებულების დრო ჩამოდგა და ისინიც ზღვისპირებს მოედვნენ. ფეხბურთელთა სეზონი დასრულდა, პაპარაცთა სეზონი კი დაიწყო. „ლივერპულის" ტრავმებით ტანჯული კაპიტანი ჯეიმი რედნაპი, ვაჟი „ვესტ ჰემის" ყოფილი მწვრთნელის, ჰარი რედნაპისა, სარდინიაზეა და იქაურ მზეს ეფიცხება თავის ცოლ ლუიზასთან ერთად. ცხადია, ფოტომონადირეებს მზესმიფიცხებული ლუიზა უფრო აინტერესებთ, ვიდრე მისი ქმარი. ჰოდა, ინგლისურ ტაბლოიდებშიც გამოჩნდა მკერდმოშიშვლებული 26 წლის მომღერლის ფოტოები. ისე კი ცხადია, რომ ჯეიმი კარგად ისვენებს.

REUTERS ლონდონიდან



# ბრიტები წყნარ ოკეანეში

ბრიტი მორაგბენი შორ ქვეყნებს მოსდებიან. უელსის ნაკრები იაპონიას რომ სტუმრობს, ადრეც გაუწყებდით. ისიც მოგახსენეთ, რომ უელსელებმა წყნარი ოკეანის ბარბაროსებთან წააგეს, ახლა კი უელსელები უფლისწულ ჩიჩიბუს ხსოვნის მინდორზე შებმიან იაპონელთა ნაკრებს და 53:30 მოუგიათ. ჯეიმი რობინსონს ხომ საერთოდაც დაუტანჯავს იქაურები, რომელთაც საბოჭად გაწვდილი ხელები თითქოსდა სავედრებლად აღუპრიათ.

ამასობაში კი ავსტრალიას სტუმრობს ბრიტანეთის ლომთა გუნდი, რომელსაც ოზების ნაღდ ნაკრებთან 30 ივნისს დაუგეგმავს თამაში ბრისბენში. მანამდე კი ლომები გოსფორდში შეხვდნენ ავსტრალიელთა „ა" ნაკრებს. თამაში ფიცხელი გამოვიდა. ლომთა ინგლისელი ლოურენს დალალიო (მარჯვნივ) ცდილობს თანაგუნდელ მალკოლმ ოკელის (შუაში) ოზ ჯასტინ ჰარისონთან (მარცხნივ) ბრძოლაში მიეხმაროს. „ა"-მ კი იმარჯვა 28:25.

REUTERS ტოკიოდან



REUTERS ბრისბენიდან



# პიტი ასწავლის

25 ივნისს უიმბლდონი გახურდება. ჩოგბურთის კარუზო პიტ სამპრასი უკვე ჩასულა ლონდონის ამ კოხტა გარეუბანში და თან ვარჯიშობს, თანაც იქაურ პარკჰაუსის სკოლაში ნორჩებს ჩოგნის ქნევას ასწავლის. ეს პატარა ბიჭი, იერით რომ ძალიან ჰგავს პიტს, მისი არც შვილია და არც ძმისშვილი, იგო დოს სანტოსი ჰქვია და პორტუგალიური წარმოშობის ბრიტანელია.

# ტრენტ ბრიჯზე

REUTERS ნოტინგემიდან



ნოტინგემის ტრენტ ბრიჯზე ერთდღიანი კრიკეტია გახურებული. პაკისტანელები თავიანთი გუნდის მიერ ავსტრალიელთა ძლევას ზეიმობენ. აქვე ტრიალებს ბრიტანეთის ახლად დანიშნული სპორტის მინისტრი რიჩარდ კებორნი (მარჯვნივ), რომელიც დიდი სახალხო კაცი ყოფილა და გულიანადაც ებაასება ერთ პაკისტანელ გულშემატკივარს.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge